ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 69 (19511) ◆ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა 17 მარტს თავის სხდომაზე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის უპირველეს ღონისძიებათა საკითხი.

განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და ამოცანების შესრულება. ყრილობის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა განხორციელება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამა წლის 13 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად გაშალონ მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, მთელი შესაძლებლობანი და რეზერვები მოახმარონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მეთორმეტე ხუთწლედში ძირეული გარდატეხის უზრუნველყოფას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში.

დასასრულია განხორციელდეს უპირველესი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს მართვის სისტემა და სამეურნეო მექანიზმი, გაუჯობესდეს საწარმოებისა და გაერთიანებების დამოუკიდებლობის გასაფართოებლად და მეწარმეობის საბოლოო [illegible] ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის სტილი და მეთოდები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის, კადრებისადმი მომთხოვნელობის, დავალებული საქმისათვის მომკითხველობის გაძლიერებას და ამ საფუძველზე საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებას.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ — ᲣᲛᲙᲐᲪᲠᲔᲡᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ!

ᲙᲙᲞ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მიზანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: „მომჭირნე უნდა ვიყოთ ყველგან და ყველაფერში — წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში, გულგრილად არ უნდა ავუაროთ გვერდი უყაირათობასა და მფლანგველობას“.

მარტი — მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამამთავრებელი, გადამწყვეტი თვეა, კვარტალის, რომელმაც უფრო ნათლად უნდა დაგვანახოს, რა გავაკეთეთ და რა პოტენციური შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ მეთორმეტე ხუთწლედის ყველა მაჩვენებლის მიხედვით სწრაფი ტემპით დაწყებისათვის.

სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივების მუშაობის შეფასებისას მარტოოდენ პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევით რომ ფონს ვეღარ გავალთ, დღეს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა კარგად იცის. ახლა მთავარი ხდება მომჭირნეობის მაჩვენებელი, ის, თუ რა დაგვიჯდა ტონა თუჯი, ფოლადი, მანგანუმი, ქვანახშირი, ელმავალი, ელექტროპარატი, ნარსი, წყვილი უფსაცმელი, წინდა და სხვა.

საქმის ასეთი ვითარება გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია: უზრუნველყოთ ეროვნული შემოსავლის მთელი მატება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით, შევამციროთ მისი მასალატევადობა 4-5 პროცენტით, ენერგოტევადობა — 7-9 პროცენტით და ლითონტევადობა— 13-15 პროცენტით.

მომჭირნეობა, მეურნეობის ყაირათიანი გაძღოლის საჭიროება ყველას ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. უკვე შეუძლებელია რესპუბლიკის ეკონომიკის შეუფერხებელი, რიტმული და პროპორციული განვითარება ისე, თუ მკაცრად არ დავზოგავთ რესურსებში.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობა, ყოველი საწარმოს, სამინისტროსა და უწყების მიხედვით შევიმუშაოთ ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის დაზოგვის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელებას მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა დაეუწყოთ.

არავინ ამბობს, თითქოს რესპუბლიკაში არაფერი კეთდებოდეს ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის და სათბობის დაზოგვისათვის. მთელ რიგ საწარმოებში გვარდება ლითონისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების აღრიცხვა. გადასინჯა მათი ხარჯვის ნორმები, სრულდება ღონისძიებანი პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისათვის, იცავენ მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმებს, ინერგება ეკონომიკური აგრეგატები, ძრავები და სხვა.

რესურსების მომჭირნედ ხარჯვასთან დაკავშირებული შარშანდელი დავალებები და სოციალისტური ვალდებულებები მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა. იმათ შორის, ვინც ამ მხრივ კარგად გამოირჩა, უნდა აღინიშნოს ფოთის გემთსაშენებელი-გემთშესაკეთებელი, რუსთავის თუჯის სხმულების, ხაშურის მექანიკური, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული ყველა სამინისტრო და უწყება.

მომჭირნეობისათვის მებრძოლი ზოგიერთი სხვა საწარმოს დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ამით საერთო მდგომარეობის ნამდვილ სურათს მაინც ვერ მივიღებთ. საქმე ის არის, რომ მატერიალური რესურსების ხარჯვას ყველანი და ყველგან როდი ეკიდებიან ჯეროვანი პარტიული პასუხისმგებლობით და პრინციპულობით. ლითონის, ცემენტის, ელექტროენერგიის, სხვა რესურსების ხარჯვის დადგენილი ნორმები ყოველთვის არ არის რეალური, ისინი ამ მხრივ არ შეესაბამებიან საწარმოთა პოტენციურ შესაძლებლობებს.

რესპუბლიკის ცალკეულმა საწარმოებმა ეკონომიის მაგივრად გადახარჯეს მატერიალური რესურსები. რუსთავის „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, შარშან გადახარჯა საქვაბე-საღუმლე სათბობი, თბო და ელექტროენერგია, ხოლო „საქსოფლმანქანის“ ქარხანაში— შავი ლითონის ნაგლინი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებაში — დიზელის სათბობი და ბენზინი.

შარშან ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა რესურსების მომჭირნედ ხარჯვასთან დაკავშირებული ვალდებულება. არადა, მრავალჯერ თქმულა, რომ ვალდებულებას კანონის ძალა უნდა მიენიჭოს. თუ იკისრე, შეასრულე კიდეც, სიტყვას ქარს ნუ გაატან. ამას ვლაპარაკობთ ნნორის მექანიკური ქარხნის, კვაისის ტყვია-თუთიის მადაროოსამმართველოს, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივების საყურადღებოდ, რომლებმაც, შესაბამისად, ვალდებულებით ნაკისრზე მეტი ხე-ტყის მასალა, ელექტროენერგია, დიზელის სათბობი და ავტობენზინი გადახარჯეს. ვერ უზრუნველყვეს გეგმით გათვალისწინებულზე მეტი შავი ლითონის ნაგლინის დაზოგვა ავრცოვეთ თბილისის „აგრეგატის“ ქარხანამ და „ელექტროპარატის“ საწარმოო გაერთიანებამ, ხე-ტყის მასალებისა—ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტმა, საქვაბე-საღუმლე სათბობისა — ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციამ.

სამინისტროს, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, სხვა ორგანიზაციების განსაკუთრებული საზრუნავი უნდა გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების მუშაობის უფრო ეკონომიკური მეთოდების შემუშავება-დანერგვა, ნედლეულისა და მასალების ეფექტიანი გამოყენება. არსებობს მომჭირნეობისათვის ბრძოლის უნივერსალური გზა—ერთიელ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირება. როცა მომჭირნეობის მართვაზე ვლაპარაკობთ, სწორედ ამ უფქტორს ვგულისხმობთ. საწარმოს ხელმძღვანელმა, საამქროს უფროსმა, ბრიგადირმა ხუთი თითივით უნდა იცოდნენ, რა უჯდებათ, ვთქვათ, ცალი ელექტროპარატი. რამდენი გრამი დეფიციტური ფერადი ლითონი, ბლატმასა, კილოვატსაათი ელექტროენერგია, საწვავი და დრო იხარჯება მის დასამზადებლად. დიახ, ზუსტად უნდა იცოდნენ და ღრმად გააზრებული გეგმის მიხედვით, სამუშაოთა გრაფიკის სრული დაცვით ახორციელებდნენ მატერიალური და შრომითი რესურსების დანახარჯების შემცირების კონკრეტულ ღონისძიებებს. სხვანაირად ამ მხრივ რაიმე გარკვეულ, ხელშესახებ წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტია.

მომჭირნეობისათვის ბრძოლის მიმდინარეობის შედეგს უტყუარად გამოხატავს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. როგორც ცნობილია, თავის დროზე პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირების ერთ-ერთი ინიციატორი ჩვენი რესპუბლიკაც იყო. პირველად ამ მიმართულებით წარმატებები შედარებით უფრო დამაჯერებელი გვქონდა, მაგრამ ბოლო ხანს ბევრმა საწარმომ დათმო პოზიციები. რესპუბლიკის 16-მა საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ შარშან გადახარჯა რესურსები და გაადვილა პროდუქციის თვითღირებულება. „ელკან“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, მაგალითად, გადახარჯა 2686 ათასი მანეთი, რუსთავის „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებამ — 11543 ათასი, „საქთევზრეწვამ“ — 7324 ათასი, „საქქანანაშრომა“ — 592 ათასი, „ᲐᲮᲝᲩᲘ“ — 326 ათასი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ — 5996 ათასი მანეთი, თბილისის ელექტროშესადები მოწყობილობის ქარხანამ — 512 ათასი, თბილისის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ — 142 ათასი მანეთი.

ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს წარმატებით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგისა და კერძოდ, მრეწველობის კოლექტივები. პრაქტიკულად დაძლეულია საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით. წარმოების მოცულობა მეთერთმეტე ხუთწლედში 30,4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან მატების 71,2 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების მატების გზით. თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმით გათვალისწინებულზე უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური შედეგებია მოპოვებული მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში. ეჯი არ არის, რომ წარმატებები არანაკლებ დამაჯერებელი იქნება მარტშიც. მიღწეულების განმტკიცებაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს მატერიალური რესურსების რაციონალურმა გამოყენებამ, მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესმა დაცვამ.

Ⓜ. Ⓢ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

„ᲕᲔᲜᲔᲠᲐ-ᲰᲐᲚᲔᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲢᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

18 ᲛᲐᲠᲢᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. პ. ალექსანდროვს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ე. პ. ველიხოვს, კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოსს, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს რ. ზ. საგდეევს, მთავარ კონსტრუქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროექტის ტექნიკურ ხელმძღვანელს ვ. მ. კოვტუნენკოს, ბალისტიკური გაანგარიშების სამუშაოთა ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ი. ა. მოზჟორინს და სსრ კავშირის მთავარკოსმოსის უფროსს ა. ი. დუნაევს.

მეცნიერებმა ილაპარაკეს „ᲕᲔᲠᲐ“ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების ფრენის ძირითადი შედეგებისა და უმნიშვნელოვანესი თავისებურებების შესახებ. ერთი ჩაფრენის დროს სადგურებმა გამოიკვლიეს ორი ციური სხეული — ვენერა და ჰალეის კომეტა. ვენერას პლანეტის ატმოსფეროში მიტანილია ტივტივა აეროსტატული ზონდები, რომელთა მეშვეობითაც პირველად განისაზღვრა მისი ატმოსფეროს ცირკულაცია და მეტეოროლოგიური პარამეტრები. იმავდროულად ვენერას ზედაპირზე დაისვა დასაშვები აპარატები, რომლებმაც დაახლოებით ცელსიუსის 500 გრადუსი ტემპერატურისა და 100 ატმოსფერო წნევის ექსტრემალურ პირობებში განაგრძეს მისი შესწავლა. გამოკვლეულია გრუნტის ელემენტური შედგენილობა, ტემპერატურა, წნევა, ღრუბლების სტრუქტურა და შედგენილობა, ატმოსფეროს ფიზიკურ-ოპტიკური მახასიათებლები.

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, 15 თვის ფრენის შემდეგ სადგურებმა მილიარდ 200 მილიონი კილომეტრი გაიარეს, 6 და 9 მარტს შევიდნენ ჰალეის კომეტის გარსში და 8-9 ათას კილომეტრ მანძილზე ჩაუფრინეს მის ბირთვს. პირველად არის მიღებული კომეტის ბირთვის ფართო მასშტაბის გამოსახულებანი, მოეწყო ტემპერატურისა და სხვა ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების გაზომვა, შესრულებულია კომეტის აირისებრ და მტვრისებრ შემადგენელთა ქიმიური შედგენილობის ანალიზი, შესწავლილია ელექტრომაგნიტური ველები და ფიზიკური პროცესები. კომეტის ნივთიერების კომპლექსურ კვლევას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ კომეტებშია პირველქმნილი სახით შენარჩუნებული ნივთიერება, რომლისგანაც მზის სისტემა შეიქმნა. ეს იმით აიხსნება, რომ კომეტები უმთავრესად დაშორებული არიან მზისმიერ ზემოქმედებას.

„ᲕᲔᲠᲐ“ სადგურების შექმნის საშუაოებში მონაწილეობდა დაახლოებით 150 საბჭოთა ორგანიზაცია და საწარმო. ხელსაწყოები, აგრეგატები და სისტემები დაპროექტდა და დამზადდა ელექტრონიკის, კომპიუტერული ტექნიკის, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის, მასალათმცოდნეობისა და ტექნოლოგიის დარგის უახლესი მიღწევების ბაზაზე. განხორციელდა დიდი მოცულობის ექსპერიმენტული დახვეწის სამუშაოები ნატურულთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. წარმატებით გადაიჭრა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიც არის ჰალეის კომეტასთან სადგურის დიდი სიზუსტით შეხვედრა (კომეტის კოორდინატების არასაკმარისი ცოდნის პირობებში), სადგურის შეუფერხებელი ფუნქციონირება მეტეორიტ-მტვრის ინტენსიური ზემოქმედების პირობებში, კომეტის გადაღება სხვადასხვა სპექტრებში, ფოტოსურათებისა და ინფორმაციის საიმედო გადმოცემა დედამიწაზე დროის რეალური მასშტაბით.

აღნიშნული პროექტის განხორციელებას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შექმნილ ახალ ტექნიკურ საშუალებებს, სამეცნიერო ხელსაწყოების კომპლექსებს, პერსპექტიულ მასალებს, ციფრული ინფორმაციის დიდი მასივების დამუშავების მეთოდიკებს, მიღებულ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს იყენებენ და კვლავაც გამოიყენებენ კოსმოსური ტექნიკის შემდგომი დამუშავების დროს, აგრეთვე მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

„ᲕᲔᲠᲐ“ სადგურების სამეცნიერო აპარატურის შექმნაში საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ფართოდ მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის, საფრანგეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები და ინჟინრები.

მ. ს. გორბაჩოვმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა მეცნიერების, სპეციალისტებისა და მუშების მიერ მოწყობილი შესანიშნავი კოსმოსური ექსპერიმენტის შედეგების გამო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ფრენა წარმოადგენს სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე მიღწევას, კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის დამაჯერებელ მაგალითს. ამ დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტის დამთავრების დრო დაემთხვა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობას და სამართლიანად გაახარა საბჭოთა ადამიანები, ჩვენი სამშობლოს ყველა მეგობარი, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე. „ᲕᲔᲠᲐ-ᲰᲐᲚᲔᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲢᲘᲡ“ პროექტის განხორციელებამ, ახალი თაობის „მირ“ კოსმოსური სადგურის გაშვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ლენინური პარტიის და საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარული კურსი.

მ. ს. გორბაჩოვმა გულითადად მიულოცა განხორციელებულ კოსმოსურ სამუშაოთა ყველა მონაწილეს, უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებანი დიდმნიშვნელოვან და კეთილშობილურ საქმეში, ჯანმრთელობა და ბედნიერება.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საუბრის წინ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲜᲣᲡᲠᲔᲚᲐᲓ ᲕᲘᲦᲕᲐᲬᲝᲗ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲗᲣᲗᲝ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲘᲙᲠᲝᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲓᲐ

ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘᲝᲓᲔ წლის წინათ ქალაქ ბათუმის სამხრეთის განაპირა ტერიტორია მიტოვებული იყო, ზამთრობით აქაურობას მონადირეები თუ „დალაშქრავდნენ“. როცა ელექტრომექანიკური ქარხნის შენებლობის საკითხი გადაწყდა, ამ უკაცრიელ ადგილს დაადგეს თვალი. 1975 წელს აქ ქარხნის ეგებერთელა კორპუსები წამოიმართა და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი აშენდა. ქალაქიდან ხელვაჩაურის საზღვრამდე ლარივით სწორი და განიერი ქუჩა გაიჭიმა და მას გიორგი ლეონიძის სახელი ეწოდა.

ასეთი იყო პირველი ნაბიჯები. შემდეგ აშენდა ათობით მაღლივი სახლი, სბავშვო ბაღები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. აქ ბინა დაიდო აგრეთვე რამდენიმე ორგანიზაციადაწესებულებამ. ერთი სიტყვით, ლეონიძის დასახლება ქალაქის განუყოფელი მიკრორაიონი გახდა და მისმა მოსახლეობამ 15 ათას კაცს გადააჭარბა.

ახალი დასახლების ასეთმა სწრაფმა ზრდამ მრავალი პრობლემა წამოაჭრა ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე. არ იყო სკოლა, კინოთეატრი, კეთილმოწყობილი ქუჩები, სკვერები, სპორტული კომპლექსი. მთელი უბანი ელექტრომექანიკური ქარხნის კლუბისა და სპორტული მოედნის ამარა დარჩა. დრო არ ითმენდა. დაბა ყოველდღიურად იზრდებოდა. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ახალ დასახლებაში ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მარტო ყველაფერს ვერ გასწვდებოდა. საამისოდ არ ჰყოფნიდა არც მატერიალური და არც შრომითი რესურსები. ამიტომ, დაისვა საკითხი: რატომ არ უნდა დახმარებოდნენ ქალაქის მესვეურებს ის საწარმოები, რომელთა მშრომელებისთვისაც შენდებოდა ახალი მიკრორაიონი? საქალაქო საბჭოს თხოვნას მაშინვე გამოეხმაურნენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და ელექტრომექანიკური ქარხნების პარტიული კომიტეტები. ეს სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში მოხდა.

ვესაუბრეთ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. დოლიძეს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსს, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატს ჯ. ჭიღვარიას და ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორს პ. კალოიანს.

რ. დოლიძე: ყრილობისათვის მზადების პერიოდში ახალი დასახლების კეთილმოწყობის გეგმა შეადგენეთ და ფუნქციებიც გავანაწილეთ. შენდება 1280-ადგილიანი სკოლა, იგი წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. დავიწყებთ ასევითე ტიპის მეორე სკოლის აგებას, ავაშენებთ რამდენიმე სბავშვო ბაღს. სპორტული კომპლექსისათვის გამოვყავით 3 ჰექტარი ფართობი, აიგება კულტურის სასახლე. გაგხსნით უალკოჰოლო სასმელების ბარებს, მოგვწყობთ დისკოთეკასა და სხვა. ჩვენ სანაოსნოს და ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივების თანადგომისა და დახმარების იმედი გვაქვს.

ჯ. ჭიღვარია: ქალაქი ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის შენდება და მისი კეთილდღეობისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. წინა წლებში საამისოდ 900 ათასი მანეთი გავიღეთ. გულს უხარია, როცა ლეონიძის დასახლებაში ცაფაწვდილ სახლებს შეეყურებთ, გავეცანით დაბის კეთილმოწყობის პროექტს. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ ავაშენოთ 9 ათასსომრიანი სატელეფონო სადგური.

პ. კალოიანი: ჩვენი ქარხანა და საცხოვრებელი სახლები ლეონიძის დასახლებაშია განლაგებული და ამიტომ მთელი დაბა ჩვენი საერთო ოჯახია. ჩვენი სახსრებით შავ საფარს დავაგებთ და კეთილმოვაწყობთ 3 კილომეტრი საერთო სიგრძის ქუჩებსა და ტროტუარებს. გავაშენებთ სკვერებს, ხეივნებს. წილობრივ მონაწილეობას მივიღებთ სკოლის, სბავშვო ბაღების, საწრეტი არხების, საქვაბეებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში.

თაოსნობა ძალაში შევიდა. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. იმედია, საუკეთო ტრადიციების მქონე ბათუმელები სიტყვას საქმით დამაშვენებენ.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲗᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲯᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲯᲐᲠᲗᲘᲗ!

ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲚᲘ. შავი ლითონების დამზადების ორი თვის გეგმა რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა და ამას ხელი შეუწყო სკკპ XXVII ყრილობისათვის სამზადისის სწრაფმა ტემპმა, ამ პერიოდში ჯარის დამზადებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებამ და პასუხისმგებლობის გაძლიერებამ. დიდი როლი შეასრულა წარმატების მოპოვებაში 15 თებერვალს გამართულმა კომუნისტურმა შაბათობამ. შრომის დღესასწაულზე სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დიდი რაოდენობის ლითონი შეგროვდა.

სამწუხაროდ, მარტში მდგომარეობა შეიცვალა: ამ თვეში უნდა დამზადდეს 34300 ტონა ჯართი, დღეისათვის კი შეგროვილია მხოლოდ 13500 ტონა, რაც გეგმის მხოლოდ 39 პროცენტს შეადგენს.

უნდა დაჩქარდეს ჯართის დამზადების ტემპი ქ. თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქალაქებში რუსთავში, გორში, მარნეულში, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, ლაჩინოურის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხაშურის, წითელწყაროს რაიონებში. მათ მარტის გეგმები სადღეისოდ 20-40 პროცენტით თუ ექნებათ შესრულებული.

განსაკუთრებული მონდომება მართებთ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ლენტეხის, მესტიის, მცხეთის, თიანეთის, წალკის, ამბროლაურის, ასპინძის, დმანისის, კასპის რაიონებს, ფოთის ელექტრომამძღერებლების ქარხანას, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირს და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ჯართის დამზადების ორი თვის გეგმების შესრულება.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ ჯართის რიტმულ დამზადებას.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ—ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ, ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ—ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე მდგომ [illegible] მოქმედებასა და მეცხოველეობაში [illegible] ორგანიზატორული მუშაობა გაძლიერების [illegible]

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. Ა. ᲨᲘᲜᲐᲕᲐᲛ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ Მ. Გ. ᲯᲐᲠᲩᲘᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Ჯ. Ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციის უკანასკნელი ჰექტარიც მანქანით იკრიფება. მიღწეულია მიჯნა, რომლისკენაც აქ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მიდიოდნენ. ამერიდან მაპროფილებელი კულტურის — ჩაისათვის დათმობილი ექვსას ჰექტარზე მეტი ფართობის დამუშავება, მოვლა და მოსავლის კრეფა წარმოებს მანქანა-მექანიზმების მეშვეობით.

გერგელიანობამ, თადარიგიანმა და ალღოიანმა მუშაობამ, ტექნიკის ფართო გამოყენებამ მეურნეობა დიდად რენტაბელურ კოლექტივთა რიგებში ჩააყენა. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები; მძიმე ხელშრომისაგან განთავისუფლებულია ასობით კაცი, რომლებიც სხვა სამუშაოებისათვის მოიცალეს

ანგარიში—თადარიგიანი, ტექნოლოგია—ინტენსიური

(დასასრული)

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირის ე. ა. თოდუას გამოსვლიდან:

— ბრიგადის ყველა წევრმა ისწავლა თადარიგიანი ანგარიში. დღეს უკვე აღარ გვიხდება ვინმეს მივუთითოთ ამა თუ იმ ნაკლზე: თითოეულმა იცის თავისი საქმე, იცის, რომ სწორედ მასზეა დამოკიდებული ყველა დანარჩენის კეთილდღეობა.

ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 5.800 სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადა და რგოლი, რომლებიც კოლექტიური იჯარის მეთოდით მუშაობენ.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირის შ. ნ. ლეკაშვილის გამოსვლიდან:

— კოლექტიურ იჯარაზე გადასვლამ შესაძლებლობა მოგვცა ბრიგადის წევრთა რაოდენობა 35-დან 25-მდე შეგვემცირებინა. ახლა იგივე სამუშაოს ნაკლები რაოდენობის მუშაკთა ძალებით ვართმევთ თავს, სამაგიეროდ მოგვემატა გამომუშავება.

იქ, სადაც სიახლეს ინტერესით მოეკიდნენ, ჩასწვდნენ მის აზრს, მიხვდნენ იჯარის მნიშვნელობასა და სიკეთეს, წარმატება გარანტირებული აქვთ. თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ პოზიტიურ ცვლილებებს შრომითს კოლექტივებში, სადაც მარჯვედ იყენებენ იჯარის უპირატესობებს.

გარდაბნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის შ. ვ. მოსესიანის გამოსვლიდან:

— საიჯარო ბრიგადებში შრომის ანაზღაურების სისტემა კოლექტიური შრომის საბოლოო შედეგებთან არის დაკავშირებული.

გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის საიჯარო ბრიგადაში, რომელსაც გამოცდილი წარმოების ხელმძღვანელი კომენინტი ს. ა. ბალახაძე მეთაურობს, ექვსი კაცი ემსახურება ხუთ საფრინველეს, რომელთაგან თითოეულში 20 ათასი ბროილერია. შარშან აქ ფრინველის შენარჩუნების მაჩვენებელმა თითქმის 90 პროცენტს მიაღწია, გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 20 ათასი ბროილერი, დაზოგილია 211 ტონა კომბინირებული საკვები. ამის შედეგად ცენტნერი ხორცის წარმოების თვითღირებულებამ დაგეგმილი 152 მანეთის ნაცვლად შეადგინა 138 მანეთი, შრომის ნაყოფიერება ბრიგადაში გაიზარდა 27 პროცენტით. ამჟამად ბრიგადის მუშაობის გამოცდილება ვრცელდება რესპუბლიკის მეფრინველეთა შორის.

ჭ. წყალტუბოს ზონის ფარცხანაყანევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირის ი. მ. შაგბულიძის გამოსვლიდან:

— საუკეთესო საბოლოო შედეგით ბრიგადის თითოეული წევრის დაინტერესებამ შესაძლებლობა მოგვცა ცენტნერი პროდუქციის წარმოების დანახარჯები 13,52-დან 8,83 მანეთამდე შეგვმცირებინა.

კოლექტიური იჯარა ეფექტიანია პრაქტიკულად ყოველი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, როგორც, მაგალითად, დმანისის რაიონში, სადაც ეს ფორმა დანერგილია მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. თუ 1980 წელს რაიონში სახელმწიფოს ორ მილიონ მანეთზე მეტი აზარალა, ახლა იგი მოწინავეთა რიცხვში დგება.

სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ოლქის სახვგრომრეწვის თავმჯდომარის ნ. ე. ურჯუმელაშვილის გამოსვლიდან:

— მართალია, საანგარიშგებო მონაცემებით, იჯარაზე გადაყვანილია სარძეო-სასაქონლო ფერმების 35 პროცენტი, მეღორეობის ფერმების ნახევარზე მეტი და მეცხვარეობის ფერმების მეოთხედი, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მეტწილად ეს გადაყვანა ფორმალური ხასიათისაა.

თათბირზე აღინიშნა, რომ შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, ინტენსიური ტექნოლოგიები ჯერ კიდევ ვერ დომინირებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უფრო მეტიც, შეიმჩნევა პროგრესული თაოსნობათა მნიშვნელობის დაუფასებლობის არასასურველი ტენდენცია. მათდამი ფორმალური მიდგომა.

წარმატება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, **თქვა დმანისის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ა. ე. მიქელაძემ,** შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვისას რომ გაგვეთვალისწინებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიაც. ახლა ჩვენს პერსპექტიულ ეკონომიკურ პროგრამაში ეს ხარვეზები აღარ არის.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მეურნეობების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, თვით რაიონების ცალკეული ხელმძღვანელები გაწეული მუშაობისადმი მიდგომაში არ იჩენენ ჯეროვან თვითკრიტიკულობას, არ ცდილობენ აღმოფხვრან ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის გ. ჰ. ემირიძის გამოსვლიდან.

— მეურნეობის ბევრი ხელმძღვანელი და სპეციალისტი მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი ფორმის მუშაობაზე გადასასვლელად, ვინაიდან მხოლოდ ზერელე წარმოდგენა აქვთ კოლექტიურ იჯარაზე, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას. ხშირად უშვებენ დამახინჯებებს სიახლეთა გამოყენებაში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მეჩიოობაში, სადაც ხარისხის საზიანოდ, მთლიან მაჩვენებლებს გამოდევნებული სამეურნეო ხელმძღვანელები „რეკორდსმენ“ მექანიზატორებს დიდად თანხებს უხდიდნენ.

ამასთან დაკავშირებით მთელი სიმწვავით დადგა მეურნეობრიობის ყველა მხარეზე ეკონომიკური სამსახურის გაკეთილ გაძლიერების საკითხი. თათბირზე სერიოზულად გააანალიზეს იმ სამეცნიერო ცენტრების საქმიანობა, რომლებიც ეკონომიკურად ასაბუთებენ სოფლად მიმდინარე ღონისძიებებს, უწინარეს ყოვლისა, შრომის ორგანიზაციის და სტიმულირების ბრიგადულ ფორმებს. აღინიშნა, რომ ეკონომიკის მეცნიერების წარმომადგენლები ჯერ კიდევ არ იჩენენ სათანადო აქტიურობასა და სიმტკიცეს მუშაობის ამ პროგრესული ფორმის გავრცელებისა და განვითარებისათვის. ჯეროვნად არ ზრუნავენ ისინი არც სიახლეთა დანერგვის, ცალკეული მოწინავე ბრიგადების საქმიანობის გამოცდილების განაზოგადებისათვის. მეცნიერები მოვალენი არიან იყვნენ მოწინავე ხაზზე, უძღვებოდნენ წარმოებას, და არა კუდში მისდევდნენ მას, მხოლოდ აღნიშნავდნენ წარმატებებს და აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს. და თუ დღეს, **როგორც თათბირზე გამოსვლისას თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. პ. ქავთარაძემ,** ინსტიტუტის მეცნიერები პრაქტიკულად ორ რაიონს შეფობენ და კიდევ ერთის შეფობას აპირებენ, ეს სრულიად არ არის საკმარისი. კოლექტიური იჯარა და სამეურნეო ანგარიში ხომ მალე შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა იქნება, და ამიტომ ამთავითვე გვმართებს მკაფიო და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რას მოგვცემს იგი რესპუბლიკის სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში, რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვას კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტის ქ. შ. პაპანდოპულოს გამოსვლიდან:

— კოლექტიური იჯარა შესაძლებლობას გვაძლევს ყველა თავთავის ადგილზე დავაყენოთ, დავინახოთ, ვინ რას წარმოადგენს, პირში ვუთხრათ უქნარას, რომ იგი უქნარაა, უსაქმურს, რომ იგი უსაქმურია. მაქსიმალურად შემცირდა წვრილმანი დატაცება და დანაკარგები.

ამავე დროს, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რესპუბლიკის მეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას თვითდინებაზე აქვს მიშვებული ინტენსიური ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვისათვის მიმდინარე მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის სოფლის რაიონის პირველი მდივნის თ. შ. ქევხიშვილის გამოსვლიდან:

— უნდა შემუშავდეს დებულება უგანწესო ბრიგადების საქმიანობის საბოლოო შედეგებზე ადმინისტრაციული აპარატის შრომის ანაზღაურების დამოკიდებულების შესახებ. ამის მეოხებით გაიზრდება ხელმძღვანელობის დაინტერესება, ამასთანავე უნდა განისაზღვროს ბრიგადების უფლება-მოვალეობანი.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა, მეურნეობათა ზოგიერთ ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ბედის ანაბარა მიუტოვებიათ საიჯარო ქვეგანაყოფები და არავითარ დახმარებას არ უწევენ მათ. მაგალითად, მარნეულის რაიონში 26 კომისრის სახელობისა და ალგეთის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების საიჯარო ბრიგადებმა 1984 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 15-25 ცენტნერი კარტოფილი, 96-97 ცენტნერი ბოსტნეული და სანახევროდაც კი ვერ შეასრულეს საწარმოო დავალებანი.

1985 წელს სიმინდი ინტენსიური ტექნოლოგიით დაითესა მხოლოდ 28 ათას ჰექტარზე, დაგეგმილი 50 ათასის ნაცვლად. მარცვლეულის წარმოებაში ჩამორჩენამ ასი ათასი ტონა შეადგინა.

ამ და სხვა ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს განვლილ ხუთწლეულში მოჰყვა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაკლება, რამაც შესამჩნევი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის ეკონომიკაზეც. თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მრავლად არიან სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ჩამორჩენილი მეურნეობანი, ცხადი გახდება, რაოდენ ბევრი გვაქვს გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რაოდენ ბევრს ვკარგავთ.

— კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გადაწყვეტილი, — **თქვა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ავტონომიური რესპუბლიკის სახგრომრეწვის თავმჯდომარემ ს. ა. საპაკინმა.** საბანკო კრედიტის თავისუფალმა მიღებამ ბევრი მეურნეობის ხელმძღვანელები გადაჰყვა წარმოების განვითარების საკუთარი ფონდების შექმნისათვის ზრუნვას, ისინი ალარ იწუხებენ თავს იმით, რომ დაიანგარიშონ თუ რა უჯდებათ წარმოებული პროდუქცია, აღარ უსატყვისებენ ერთმანეთს გასავალ-შემოსავალს.

ავიღოთ, თუნდაც, ისეთი საკვანძო პრობლემა, როგორიც მარცვლეულის წარმოებაა. აქაც პარადოქსებს ვაწყდებით. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, როდესაც არც ბრიგადული იჯარა იცოდნენ და არც ინტენსიური ტექნოლოგიები, ბევრ კოლმეურნეობაში იღებდნენ საშუალოდ ორმოც ცენტნერ და მეტ ხორბალსა და სიმინდს. ახლა კი ბევრი მეურნეობის ხელმძღვანელს ეს მიჯნა ლამის რეკორდულად მიაჩნია, ხოლო ზოგი მეურნეობა იმასაც „ახერხებს“, რომ სარწყავ მიწებზე 15-20-ცენტნერიანი მოსავალი მოიწიოს. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში, რომელსაც თავის დროზე ანთიმოზ როგავა ხელმძღვანელობდა, საშუალოდ ძოხაზე იღებდნენ 3.100 კილოგრამ რძეს. კოლმეურნეობის მუშაობის გამოცდილება მარჯვე მეურნეობრიობის მაგალითი ა. ა. მაშ, რატომ არის, რომ დღეს მსხვილ ფერმებსა და კომპლექსებსაც კი ვერ მიუღწევიათ ამ დონისათვის?

მაინც, რაზეა დამოკიდებული წარმატება? უწინარეს ყოვლისა, იმ საქმის ცოდნაზე, რომელსაც ემსახურება, დაინტერესებაზე და, რაკი თქმა უნდა, დამკვიდრულ შრომაზე, სურვილზე — მისცე სამშობლოს რაც შეიძლება მეტი სასურსათო პროდუქტები.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის რ. შ. პაკულიას გამოსვლიდან:

— ბევრი რაიონის უგანწესო ბრიგადებში გაბატონებულია შრომის ანაზღაურების მხრივ გათანაბრების პრინციპი. ბრიგადებს უწესდებათ მხოლოდ პროდუქციის წარმოების გეგმა და ხელფასის ფონდი, მაგრამ არ განუსაზღვრავენ საკვების, თესლის, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვის ლიმიტებს, მასობრივად ირღვევა ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის თანაფარდობა.

დასახელეს შრომის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოჰყვა ეკონომიკური სამსახურების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, ვინაიდან ისინი დაგეგმვისას არ ითვალისწინებდნენ პირდაპირ და საერთო-საწარმოო დანახარჯებს, ცალკეული ქვეგანაყოფების კონკრეტულ პირობებს.

დღეს განუზომლად იზრდება მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის ნაყოფი ხდება სოფლის მეურნეობამ მიღო მძლავრი თანამედროვე ტექნიკა, მეცნიერთა მიერ შემუშავებული პროგრესული ტექნოლოგიები. აი, რატომ არის, რომ დღეს განსაკუთრებული პასუხი მოეთხოვებათ ხელმძღვანელებს, წარმოების ორგანიზატორებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ღრმა ეკონომიკური ცოდნა, შეეძლოთ ფლობდნენ ვითარებას, იყვნენ დროის მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების მოწოდების დონეზე. მაგრამ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ რიგიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, მეურნეობების, სხვა სამსახურების ‘ყველა ხელმძღვანელმა როდი ‘გარდაქმნა მუშაობა დღის მოთხოვნების, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების სულისკვეთებით. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ‘მათგანი შეგნებულად აფერხებს ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვას, ვინაიდან ეს სიახლენი უკეტავენ გზას სოციალისტური საკუთრების დამნიავებლებს.

ასე მუშაობა აღარ შეიძლება. მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის წინაშე, როგორც ეს ძირითად მიმართულებებშია ჩაწერილი, ფართო მასშტაბის ამოცანები ‘დგას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში. ჩვენ ერთი გზა გვაქვს — ეს არის ‘საუკეთესო შრომის ორგანიზაცია, დისციპლინა და წესრიგი ყველგან და ყველაფერში, თითოეული მეურნეობა, ყოველი ბრიგადა, რგოლი უნდა მუშაობდეს ‘სრული უკუგებით, აძლევდეს სამშობლოს სულ უფრო მზარდი რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქციას. საჭიროა ამ სეზონშივე სავალდებულო წესით შესრულდეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ‘ხილის, სხვა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმები.

განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს მეცხოველეობა — სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი. მრავალი თვალსაზრისით საგულისხმო ‘ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადის მუშაობის გამოცდილება, ‘რომელსაც ნ. ა. პეტრიაშვილი ‘ ხელმძღვანელობს. აი, უკვე თერმეტი წელიწადი იგი სამეურნეო ანგარიშით მუშაობს და დღენიადაგ აუმჯობესებს შედეგებს. ბრიგადის ცამეტი წევრი საშუალოდ ‘წელიწადში აწარმოებს 180 ტონაზე მეტ ღორის ხორცს. თვით ბრიგადის წევრებს ეს, სულაც არ მიაჩნიათ რაღაც არაჩვეულებრივად. მათ ‘ყოველივეს მიაღწიეს ჩვეულებრივ პირობებში, როგორიც ათასობით ასეთსავე კოლექტივს აქვს. ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ‘ბრიგადა სრულ სამეურნეო ანგარიშზეა და კოლექტიური იჯარის, მეთოდით მუშაობს. ეს კი ‘რაზმავს ადამიანებს, რათა განამტკიცონ დისციპლინა, დაინტერესებით მოეკიდონ შრომის საბოლოო შედეგებს.

ნ. ა. პეტრიაშვილის გამოსვლიდან:

— ხუთწლედის მანძილზე გეგმის თანახმად უნდა გვეწარმოებინა 349 ტონა ღორის ხორცი, დავამზადეთ თითქმის ორჯერ მეტი — 641 ტონა; უნდა მიგვეღო და გამოგვეზარდა 6.920 გოჭი, გამოვზარდეთ 9.775. ყოველ ცენტნერ წონანამატზე დავხარჯეთ 5,7 ცენტნერი საკვები ერთეული, გათვალისწინებული 9,8 ცენტნერის ნაცვლად.

ამ ბრიგადის მაგალითი ფრიად საგულისხმოა მეცხოველეებისათვის. ამავე დროს, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისას ‘პრაქტიკულად არ ინერგება ინტენსიური ტექნოლოგიები, წლითიწლობით ვერ ითვისებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ბევრი კომპლექსი არსებითად უმოქმედოდ არის, თუმცა ისინი მეცნიერების მიღწევებისა და ‘მოწინავე გამოცდილების დანერგვის ძირითად ბაზად უნდა იქცნენ. საკვების, ცოცხალი შრომის ‘ზენორმატიულ დანახარჯებს, სხვა არასასურველ ფაქტებს შედეგად მოსდევს პროდუქციის თვითღირებულების მომატება. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი ‘პირუტყვის ცენტნერ წონანამატებს ‘მთლიანად ქვეყანაში ხმარდება 41-49 კილოსათი, ჩვენში — 85-104, ცენტნერ ღორის ხორცისას, შესაბამისად — 18-36 და 65-79, რძისას — 7-9 და 14-15 კილოსათი.

ამ და სხვა მიზეზებისა გამო რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში კვლავ სიძვირეა. არადა, მოვაწესრიგოთ ფასები — ეს ნიშნავს დადაგწყვიტოთ დიდმნიშვნელოვანი სოციალური საკითხი. ამ მხრივ რესპუბლიკაში მტკიცე ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ზოგიერთი ორგანოს წყარუების შედეგად მათ ნეგატიური მოვლენები მოჰყვა. კარგი თაოსნობა ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

პრაქტიკული პოზიციებიდან უნდა შევხედოთ პროდუქციის რეალიზაციასაც. შესაბამისმა მგეგმავმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა რეგიონში ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის წარმოება და მოთხოვნა. **როგორც თავის გამოსვლაში თქვა ოჩამჩირის რაიონის კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა რ. რ. ეშბამ,** ეს დიდი საწარმო იძულებულია შეაკავოს განვითარების ტემპი პროდუქციის ცუდი რეალიზაციის გამო.

თათბირის მონაწილეებმა მოიფიქრეს დამყარდეს სახელმწიფო წეხრიგი წარმოების ყველა ეტაპზე — კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის მინდორი იქნება ეს, გადამამუშავებელი საწარმო თუ საკოლმეურნეო ბაზარი. ყოველი მათგანი მოვალეა მკაცრად აგოს პასუხი მინდობილი სამუშაო უბნისათვის. ნაკლოვანებებთან ბრძოლა უკომპრომისო უნდა იყოს. და ნუ ეშინებათ პატიების იმედი იმათ, ვინც ხელს გვიშლის წინსვლაში.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი: კოლექტიური იჯარა — ეს არის შრომის ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი მიწისა და ფერმების ნამდვილი ბატონ-პატრონი ხდება. კოლექტიური იჯარა ინტენსიურ ტექნოლოგიასთან შეხამებით — ეს არის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების ეკონომიკური პოტენციალის სრული და ეფექტიანი გამოყენების ყველაზე სამართლიანი გზა.

აქედან კი გამომდინარეობს კატეგორიული მოთხოვნა: სახაგრომრეწვისა და მისი დარგობრივი სამმართველოების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების თითოეული ხელმძღვანელი უფრო აქტიურად, კონკრეტულად და საგნობრივად უნდა უძღვებოდეს სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარისა და ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას.

თითქმის ყველა ორატორმა გაიხსენა ამოცანები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის წინაშეა დასახული ახალი და მომდევნო ხუთწლედებისათვის: გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა — 14-16 პროცენტით, გავადიდოთ 1990 წლისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 650 ათას ტონამდე, ხილის, კენკრის და ციტრუსისა — 1,1-1,4 მილიონ ტონამდე, ხორცისა — 230 ათას ტონამდე, რძისა — 850-900 ათას ტონამდე, კვერცხისა — 1,2 მილიარდ ცალამდე. ხუთწლეულის მანძილზე საეკსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ 60 ათასი ჰექტარი არწყავი მიწები. დავაშროთ 35 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები. განვაგრძოთ კოლხეთის დაბლობის მიწების მელიორაციისა და ათვისების სამუშაოები. უზრუნველვყოთ არსებულ სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქცია. დავლაშქროთ დასახული მიჯნები — ნიშნავს მიგვაღწიოთ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ აღმავლობას.

გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ღონისძიებანი, რომლებიც დღეს მუშავდება, დაგვეხმარება მაქსიმალურად გავაქტიუროთ მთელი არსებული რეზერვები, მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურ ზრდას; გავფარეთოოთ სასურსათო პროდუქტების ასორტიმენტი, გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი და მოსახლეობის მომარაგება. უკეთ უზრუნველვყოთ გადამამუშავებელი მრეწველობა სოფლის მეურნეობის ნედლეულით.

ასეთი ამოცანა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა, ყველაზე მოკლე ვადაში უნდა გადავწყვიტოთ. ეს საქართველოს კომუნისტმა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მშრომელის ღირსების საქმეა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ი. ალავიძე. (საქინფორმი).



სოფელი
დღის საზრუნავი

მრავალფეროვანი ბიბლიოთეკისათვის

ლანჩხუთის რაიონში ერთ-ერთი პირველები შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნას სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის მექანიზატორები. მათ უნდა დაამუშაონ 680 ჰექტარი სახნავი.

სურათზე: კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე აკაკი სურგულაძე, ლანჩხუთის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ინჟინერ-მექანიზატორი რევაზ კაკაჩია და სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის ტრაქტორების პარკის ბრიგადირი ზურაბ ზოიძე ამოწმებენ ხვნის ხარისხს.

ზ. სამსონიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სტუდენტობის უფლება

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალ წესებს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 17 მარტს გაიმართა მოსკოვში.

— დარჩება საკონკურსო შერჩევის პრინციპი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს სტუდენტთა ოჯახში მივიღოთ ყველაზე მომზადებული ახალგაზრდობა, — თქვა ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ა. იაგოდინმა. — არის ცვლილებებიც. ერთ-ერთი მისაღები გამოცდის ნაცვლად მოეწყობა პროფორიენტაციული გასაუბრება ყველა აბიტურიენტთან, რომლებიც წარმოგვის მოწყვეტით სწავლას აპირებენ. ეს არ ეხება კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირებს.

გასაუბრების მიზანია განისაზღვროს შემსვლელთა პროფესიული მიდრეკილება, გამოვლინდეს, როგორია მათი შრომითი და შემოქმედებითი წარმატებანი არრეული პროფესიასთან დაკავშირებულ დარგში. გასაუბრების შედეგების მიხედვით დაიწერება შეფასება სამქულიანი სისტემით. იგი აღირიცხება აბიტურიენტის მიერ გაწეული ქულების საერთო რაოდენობაში.

პროფესიული ორიენტაციის როლის ზრდასთან დაკავშირებით მცირდება მისაღები გამოცდების რიცხვი. იქნება სამი, და არა ოთხი გამოცდა.

დღის განყოფილებაზე მისაღები გამოცდების მოწყობა გათვალისწინებულია იგივე ვადებში, როგორც ადრე იყო. მაგრამ მოსკოვის, მისი ოლქისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები მოეწყობა 11-31 ივლისს. ეს იმ მიზნით კეთდება, რომ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ გაუძლებენ საკონკურსო გამოცდას ცენტრალურ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, შესაძლებლობა მიეცეთ მოსინჯონ თავიანთი ძალები სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. (საქინფორმი).

გაიანის ელჩი საქართველოში

სამი დღის მანძილზე საქართველოში იყო გაიანის კოოპერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფილიპ ნ. ჩანი მეუღლითურთ. იგი საბჭოთა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოგზაურობს მათ გასაცნობად.

სტუმარი გაეცნო თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, ეწვია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

18 მარტს გაიანის ელჩი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

(საქინფორმი).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

18 მარტს მოსკოვში გ. მ. მარკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

სესიაზე იხილავენ 1986 წლის ლენინური პრემიების-მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის შერჩეულ ნამუშევრებს და მათი საზოგადოებრივი განხილვის შედეგებს.

კომიტეტი განიხილავს აგრეთვე სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ კანდიდატურებს და მათგან საუკეთესოებს შეარჩევს კონკურსში მონაწილეობისათვის.

სკკპ XXVII ყრილობა: მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა ქვეყნის ცხოვრების ჭეშმარიტად საეპაპო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. პარტიის კოლექტიურმა გონებამ პასუხი გასცა ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების ძირეულ საკითხებს, თითოეული კომუნისტი, თითოეული საბჭოთა ადამიანი შეაიარაღა ახალი ამოცანების, მათი გადაწყვეტის გზების მკაფიო ხედვით.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, სკკპ შეცვლილი წესდება, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია: მათში ყოველმხრივ დასაბუთებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცების გენერალური გზა ახალი ხუთეული ეკონომიკურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცების გენერალური გზა ახალი ხუთეული კომუნისტური აღმშენებლობის თეორიაშიც და პრაქტიკაშიც, ლენინური პარტიის, მთელი ხალხის მრავალმხრივი მუშაობის საფუძველია.

* * *

თავის სტრატეგიულ დებულებებს რომ სახავს და კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ემყარება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მტკიცე საძირკველს.

„მარქსზმ-ლენინიზმი უდიდესი რევოლუციური მსოფლმხედველობაა, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში XXVII ყრილობისადმი. — მან დაასაბუთა ყველაზე ჰუმანური მიზანი, რომელიც ოდესმე დასუსახავს კაცობრიობას, — ქვეყნად სამართლიანი სოციალური წყობილების შექმნა. იგი გვიჩვენებს საზოგადოებრივი განვითარების როგორც ერთიანი, მთელი თავისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრიობით კანონზომიერი პროცესის მეცნიერული შესწავლის გზას, გვასწავლის სწორად ვერკვეოდეთ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ხასიათსა და თანამოქმედებაში, ვირჩევდეთ სწორ მიმართულებებს, ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, ლაღად ვგრძნობდეთ თავს ისტორიის მკვეთრი შემობრუნების მომენტებში“.

მთელი თავისი რევოლუციური აზრით, ნოვატორული სულისკვეთებით პარტიის XXVII ყრილობამ ცხადყო, რომ მარქსზმ-ლენინიზმის ფუძემდებელი პრინციპების ერთგულება პოლიტიკური კურსის სისწორის პირობა და საწინდარია ისტორიის ყოველ, ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე. ამასთან ერთად მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სულაც არ არის ყველგან და ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი, გაქვავებული სქემების და რეცეპტების კიბეული. მის ძალას განსაზღვრავს შეუნელებელი შემოქმედებითი ძიება, ახალი ფაქტებისა და მოვლენების, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალური გარდაქმნების გამოცდილების შუდმიანი განზოგადება და დიალექტიკური გაანალიზება. და, როცა აანალიზებს კონკრეტულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ, ისტორიული პროცესის იმ პერიოდის თავისებურებას, რომელსაც საბჭოთა საზოგადოება და მთელი მსოფლიო გადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად იცავს ლენინურ მოთხოვნას: ანგარიში უნდა გაუწიოთ „...ცოცხალ ცხოვრებას, **სინამდვილის** ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩავებღაუჭოთ გუშინდელი დღის თეორიას“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ.31).

დღეს პარტიის თეორიული აზრისა და პრაქტიკული საქმიანობის ცენტრშია იმ პრობლემათა არნახული რთული კომპლექსი, რომლებსაც თანამედროვეობის ობიექტური, მნიშვნელოვანწილად ახალი

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები

საუბარი კრემლში

17 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო დასავლეთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მესამე საინფორმაციო შეხვედრა-სემინარის საზღვარგარეთელ მონაწილეთა ჯგუფი.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში წარმოადგენენ ანტიჰიტლერისტული ძალების ფართო სპექრს: საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ცენტრის დირექტორი, „მშვიდობისა და განიარაღების მომხრე გენერლების“ საერთაშორისო ჯგუფის დირექტორი, გადამდგარი ბრიგადის გენერალი მაიკლ ჰარბოტლი (დიდი ბრიტანეთი); მშვიდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რადიკალური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, ფედერალისტთა მსოფლიო ასოციაციის. პრეზიდენტი ჰერმოდ ლანუნგი (დანია); იტალიელ მშრომელთა ქრისტიანული ასოციაციის მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის გაყოფილების გამგე კლაუდიო ჯენტილინი; კანადის მშვიდობის მომხრეთა ალიანსის კოორდინატორი რობერტ ენერი; „მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მომხრეთა“ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ჰოვარდ ფრეიზერი (აშშ); გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბონის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე რუდოლფ მერკერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); „მშვიდობისათვის მომხრე ქალთა“ მოძრაობის ლიდერი ევა ნურლანდი (შვეიცია); მშვიდობის დაცვის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები — ბელგიის, საბერძნეთის, ნიდერლანდის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის წარმომადგენლები.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ მრავალი ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა მოთხოვნები ესატყვისება საბჭოთა კავშირის ბოლოდროინდელ საშვიდობო ინიციატივებს.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ომის საწინააღმდეგო მოძრაობებს, რომლებიც ყველა კონტინენტის ბევრ სახელმწიფოში ვითარდება.

იგი საგანგებოდ შეეხო წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაში, აგრეთვე საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის საფუძვლები, რომელთა შესახებ დაწვრილებით იყო ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში საბჭოთა კომუნისტების XXVII ყრილობისადმი.

აყენებს რა თავის წინადადებებს, საბჭოთა კავშირი იმით ხელმძღვანელობს, რომ ბირთვული საფრთხის პირობებში შეიქმნა ობიექტური ვითარება, რომელშიც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირება შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მეტოქეობის ფორმებით.

საზღვარგარეთელმა საუბრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა წინადადებანი ფართო გამოხმაურებას პოულობს მთელ მსოფლიოში. ამ წინადადებებს დიდად აფასებენ ხალხები. (საკმისი).

სოციალისტურ ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკია

ინტერნაციონალური ობიექტის ასაგებად

პრაღა. მთავრდება ჩეხოსლოვაკიის სამშენებლო რაზმის შექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ინტერნაციონალური ობიექტის — მაგისტრალური გაზსადენის „პროგრესის“ მშენებლობაში. გამოცდილი ჩეხოსლოვაკიელი მშენებლების კოლექტივმა უნდა გაიყვანოს გაზსადენის 580 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი, საიდანაც 120 კილომეტრი კარპატების რთულ რელიეფზე მოდის.

გაზსადენის ფოლადის მაგისტრალის გარდა ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები ააგებენ რვა საკომპრესორო სადგურს, აგრეთვე 3,5 ათასზე მეტ ბინას, წყლის გამწმენდ სადგურებს, მთელ რიგ ობიექტებს „პროგრესის“ ტრასის გასწვრივ.

უნგრეთი

მეცნიერები ეძებენ პასუხს

ბუდაპეშტი. როგორ გადავაქციოთ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად? ამ კითხვაზე პასუხს ეძებენ ელექტრონიკის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის თანამშრომლები, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში გაიხსნა. ისინი შეისწავლიან ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ელექტრონულ-გამომთვლითი ცენტრების გამოყენების გაფართოების შესაძლებლობებს.

დღეს ძნელია მოიძებნოს ქვეყნის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, „ელექტრონულ თანაშემწეები“ რომ არ იყენებდეს. მაგალითად, მარტო შარშან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები დაიდგა ქიმიური და მანქანათსაშენებელი მრეწველობის 30 საწარმოში. მათ ფართოდ იყენებენ სოფლადაც, სადაც სახელმწიფო მეურნეობებსა და კოოპერატივებში მოქმედებს ხუთასამდე გამოთვლითი ცენტრი. უახლოეს წლებში დიდი ყურადღება დაეთმობა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების გაფართოებას საწარმოებში.

ბულგარეთი

მშენებელთა ვალდებულება

სოფია. ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით ეგებებიან ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობას მშენებელი რკინიგზელები. ბოლო ხუთ წელიწადში ქვეყნის რთული მთის პირობებში გაიყვანეს 874 კილომეტრი გზა, ხოლო მთელი სარკინიგზო გადაზიდვის ორი მესამედი ამჟამად ელექტროლოკომოტივებით ხორციელდება.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ბულგარელ კომუნისტთა ფორუმის დაწყებისათვის საეკსპლოატაციოდ გადასცენ სოფია-პლოვდივის გზის საატლონო უბანი, რომელიც მატარებლების ავტომატიზებული მართვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია. სამომავლოდ ეს სისტემა იკისრებს ქვეყანაში ყველა მატარებლის მოძრაობის მართვას — გასცემს მათი გაჩერების ბრძანებას, აარჩევს მოძრაობის სიჩქარეს საგზაო პირობების შესაბამისად. ამისათვის ყველა კვანძში, ასაქცევში, სადგურში იდგმება სიგნალიზაციის სხვადასხვა აპარატურა, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას კომპიუტერი გასწევს.

ვარნა. სოციალისტური ბულგარეთის ერთ-ერთი უსამაზეხი, მხხვილი სანავსადგური ქალაქი და სამრეწველო ცენტრი, პოპულარული საერთაშორისო კურორტია. ეს თავისებურებანი მაქსიმალურად აისახა ვარნის განვითარების გენერალურ გეგმაში, რომელიც 40-50 წლისათვის არის გათვალისწინებული და რომელსაც დიმიტროვის სახელობის პრემია მიენიჭა.

* * *

სურათზე: კარლ მარქსის სახელობის ბულვარი ვარნაში.

ბბა-საკმისის ფოტო.

ფოტოინფორმაცია

ერთიანობისა და შეკავშირების ნიშნით

დამთავრდა ინდოეთის კომპარტიის ყრილობა

პატნა. აქ მუშაობა დაამთავრა ინდოეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ, საბოლოო სხდომაზე დელეგატებმა ერთსულოვნად აირჩიეს პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს — ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს 125 წევრი, ეროვნული საბჭოს 13 წევრობის კანდიდატი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 11 წევრი. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს წევრთა დაახლოებით 20 პროცენტი პირველადაა არჩეული.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჩ. რაჯეშვარა რაომ. ჩვენმა ყრილობამ, თქვა მან, ჩაიარა ერთიანობისა და შეკავშირების ვითარებაში. მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების ბევრი დელეგაციის დასწრებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენი პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. გვესმის, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში ჩვენს პარტიას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვის საქმეში. ამ მასობრივ მოძრაობაში უნდა გაერთიანდეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მათი პოლიტიკური, რელიგიური და სხვა განსხვავების მიუხედავად. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩვენმა პარტიამ შეასრულოს ეს პასუხსაგები ამოცანა. ყრილობის ტრიბუნიდან კვლავ ვაცხადებთ, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტია კვლავინდებურად მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, იქნება მშრომელი ხალხის ინტერესების შეუპოვარი დამცველი, იბრძოლებს იმისათვის, რომ ქვეყანა განვითარდეს მშვიდობისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზით, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ჩ. რაჯეშვარა რაომ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა მოძმე კომუნისტური, მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა 36 დელეგაცია, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის პ. ნ. დემიჩევის მეთაურობით.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის დამთავრების შემდეგ აქ გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა ასიათასობით ადამიანი. მიტინგზე გამოვიდნენ ჩ. რაჯეშვარა რაო, კომპარტიის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე საზღვარგარეთის მომძე პარტიათა წარმომადგენლები.

საბჭოთა დელეგაციის სახელით მიტინგის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. პ. ანიშჩევი.

● უვეიცია

მემორიალური სხდომა

სტოკჰოლმი. აქ გაიმართა მემორიალური სხდომა განიარაღებისა და უშიშროების საკითხთა დამოუკიდებელი კომისიისა, რომელიც შექმნა და სათავეში ედგა უ. პალმე.

კომისიამ მიიღო განცხადება, რომელშიც პატივი მიაგო მის დამაარსებელს, აგრეთვე გამოთქვა აზრი თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე. დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იდეები და დებულებანი მოხსენებისა — „საყოველთაო უშიშროება. განიარაღების პროგრამა“, რომელიც კომისიამ 1982 წელს მიიღო, ახლაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობასა და აქტუალობას. მასში დადასტურებულია საყოველთაო უშიშროების პრინციპების ერთგულება, აღნიშნულია, რომ ბირთვულ საუკუნეში არა აქვს ალტერნატივა ქვეყნებს შორის მოლაპარაკებასა და თანამშრომლობას.

სხდომის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ბირთვულ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დადონ ხელშეკრულება ყველა ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ.

შვეიცის პრემიერ-მინისტრთან ი. კარლსონთან შეხვედრის დროს კომისიის წევრებმა სთხოვეს მას სათავეში ჩაუდგეს ამ კომისიას. შვეიცის მთავრობის მეთაური შეჰპირდა მათ, რომ უახლოეს დროში გასცემს პასუხს.

მიღებულია გადაწყვეტილება ამერიკიდან კომისიას ოფიციალურად ეწოდოს „განიარაღებისა და უშიშროების საკითხთა უ. პალმეს კომისია“. მისი მომდევნო სხდომა მიეძღვნება ევროპის უშიშროების პრობლემებს და გაიმართება მომდინარე წლის 24-26 ოქტომბერს ბუდაპეშტში.

● ესპანეთი

ბრძოლა გაგრძელდება

მადრიდი. ის ფაქტი, რომ დაახლოებით შვიდმა მილიონმა ესპანელმა 12 მარტს გამართული რეფერენდუმის დროს ნატოზე უარი თქვა, მოწმობს იმათ მნიშვნელოვან გამარჯვებას, ვინც ქვეყანაში იღვწის მშვიდობისათვის, ნეიტრალიტეტის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის, ეს ნათქვამია ესპანეთის ხალხთა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განცხადებაში. ესპანეთის ხალხთა კომპარტია, ხაზგასმულია დოკუმენტში, განაგრძობს ბრძოლას სამხედრო ბლოკიდან ქვეყნის გამოსვლისა და მის მიერ მშვიდობისა და პროგრესის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

● საფრანგეთი

შეხვედრა პრეზიდენტთან

პარიზი. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ლორან ფაბიუსი ეწვია პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან პარლამენტის არჩევნების შედეგების თაობაზე.

მან პრეზიდენტს გადასცა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი და მისი მთავრობა მზად არიან გადადგნენ ნებისმიერ დროს, როცა პრეზიდენტი ამას საჭიროდ ჩათვლის. შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს უარი უთხრა რაიმე განმარტება მიეცა თავისი გადადგომის შესახებ. აქ აღნიშნავენ, რომ ფრანსუა მიტერანმა დავალება ახალი მთავრობის შექმნის თაობაზე უნდა მისცეს 2 აპრილამდე, ესე იგი პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნამდე.

● აშშ

დააბრალეს „ძირგამოთხრილი ზრახვები“

სან-ფრანცისკო. მუქარა, არამართლზომიერი აქციებისა და უშუალო ზეგავლენის მეშვეობით ამერიკის ხელისუფლებამ შეაჩერეს ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეთა მარში, რომელიც პირველ მარტს ლოს-ანჯელესიდან ვაშინგტონსაკენ გაემართა. მარშის მონაწილეები გამოვიდნენ ლოზუნგით „მოგვაშორეთ ბირთვული იარაღი“, რათა დეარაზმათ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

მათი მოთხოვნები, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ქვეყანაში, წაადგა ოფიციალურ ხელისუფალთა გაფფორებულ წინააღმდეგობას. პირველივე ნაბიჯებიდან მშვიდობის მარშს უქმნიდნენ ყოველგვარ დაბრკოლებებს, მის მოხაწილეებს კი პატიმრობით ემუქრებოდნენ.

ხელისუფლებამ მოითხოვეს, რომ მარშის ინიციატორმა — „მშვიდობისათვის“ ორგანიზაციამ გადაიხადოს მრავალმილიონიანი ჯარიმა [illegible] ... ევაში იმუქრებოდნენ, რომ გადაკეტავდნენ გზატკეცილებს და ქალაქების ქუჩებს. „თურმე ამერიკის შეერთებულ შტატებში დემონსტრაციის უფლება ფული ღირს“, — აღნიშნა სან-ფრანცისკო კაონის ტელესადგურის რეპორტიორმა. ასე მოხდა კლერმონტსა და მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში და ბოლოს ბარსტოუში, რომლის გარეუბანში მეოთხე დღეა გაშლილია მარშის მონაწილეთა ნარინჯისფერი და ლურჯი კარვები.

ამ გზით ხელისუფალნი ცდილობდნენ ეიძულებინათ მარშის მონაწილენი ეელოთ მეორხარისხოვანი გზებით დიდი დასახლებული პუნქტების შემოვლით, არ მიეცათ მათთვის შესაძლებლობა აქტიური ზემოქმედება მოეხდინათ კალიფორნიის მცხოვრებლებზე. მაგრამ ისინი შეცდნენ. ყველგან, სადაც ჩაიარა მარშმა, მას ხალხმრავალი მანიფესტაციებით ხვდებოდნენ.

ემისრის ვიზიტი

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რეიგანი თეთრ სახლში შეხვდა თავის სპეციალურ წარმომადგენელს ცენტრალურ ამერიკაში ფილიპ ჰაბიბს. მან ეს-ეს არის დაამთავრა მოგზაურობა რეგიონში ადმინისტრაციის მეთაურის პირადი განკარგულებით.

ფ. ჰაბიბმა მოგზაურობის დროს მოლაპარაკება გამართა სალვადორის, ჰონდურასის, გვატემალის, კოსტა-რიკის ხელმძღვანელებთან და ცდილობდა, რათა მათ უსიტყვოდ დაეჭირათ მხარი ნიკარაგუის საქმეებში შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის გაფართოების გეგმებისათვის. მართალია, თეთრ სახლს არ გამოუცხადებია, თუ რას განიხილავდა რეიგანი თავის ემისართან, მაგრამ ჰაბიბმა რეპორტიორებთან შეხვედრისას, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო, „აღშფოთება გამოთქვა იმ განცხადებების გამო, რომ ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ნიკარაგუაზე საშხედრო ზეგავლენის გაძლიერების წინააღმდეგ არიან განწყობილნი“. როგორც თავის მხრივ გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, „ლათინური ამერიკის დიპლომატიურ წრეებში ბოლო ხანს განწყობილება იცვლება არცთუ ვაშინგტონის სასარგებლოდ“.

● ლიბანი

დამსჯელთა თარეში

ბეირუთი. გასული დღე-ღამის განმავლობაში ისრაელის არტილერია კვლავ ცეცხლს უშენდა სამხრეთ ლიბანის სოფლებს მიმასს, აინ-ტანტას და ლიბანის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებს. „ყველაზე ინტენსიურად უშენდნენ ცეცხლს სოფელ მარჯუუჰურს, რომელსაც ათობით ჟურავი ესროლეს. ჰლანტაციებისა და ბაღებისათვის ცეცხლს დაშენის დროს აგრესორები სულ უფრო ხშირად იყენებენ ცეცხლგამჩენ ჟურვებს.

ისრაელის დამსჯელები და მათი ადგილობრივი დამქაშები შეიჭრნენ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მდებარე სოფლების ლაბაიისა და აინ-ფაჯურის რაიონში და მასობრივი ჩხრეკა მოაწყვეს. მცხოვრებლებს, რომლებიც შეეცადნენ თავი დაეღწიათ ალყისათვის, ესროდნენ ვერტმფრინავებიდან, რომლებიც განუწყვეტლივ დასტრიალებდნენ იმ რაიონს, სადაც ხორციელდებოდა დამსჯელი ოპერაცია.

სამხრეთ ლიბანის ოკუპირებულ ნაწილში მოქმედმა ლიბანელმა პატრიოტებმა ისრაელი დამსყრობლებისა და მათი დაქირავებულების წინააღმდეგ შვიდი საბრძოლო ოპერაცია განახორციელეს. პარტიზანების მოქმედება ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა ალმა-შაბისა და კუნინის დასახლებული პუნქტების მახლობლად, სადაც მათ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის პოზიციებსა და პატრულებზე. მარჯაიუნის მახლობლად გზაზე ნაღმზე აფეთქდა ისრაელის ჯავშანტრანსპორტიორი. ლიბანის წინააღმდეგობის პატრიოტული ფრონტის ცნობებში ნათქვამია, რომ მიწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი მიადგა.

მოკლედ

● კიბრო. ეკვადორში გაუქმდა საგანგებო წესები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიღეს 14 მარტს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ფრანკ ვარგას პასოსის შეიარაღებული გამოსვლის გამო. ფ. პასოსის მთავრობისაწინააღმდეგო მოქმედებას განიხილავს სამხედრო ტრიბუნალი.

● ოტავა. კანადის პრემიერ-მინისტრი მალრუნი ოფიციალური ვიზიტით გაფრინდა ვაშინგტონში. იგი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ რეიგანთან და ამერიკის ადმინისტრაციის სხვა ოფიციალურ პირებთან. როგორც კანადის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, მოლაპარაკების დღის წესრიგშია ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემები, შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის ვაჭრობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები და სხვ.

● ქაბული. 200-მდე ავღანელის ოჯახი, რომლებმაც სამშობლო კონტრრევოლუციური პროპაგანდის ზეგავლენით მიატოვეს, თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ პაქტიის პროვინციაში. როგორც ბაჰთარის სააგენტო იუწყება, „ლტოლვილთა ბანაკებში“ ისინი წაადუდნენ რეპრესიებსა და აბუჩად აგდებას პაკისტანელ ხელისუფალთა და ბანდიტთა მხრივ, შიმშილსა და სიღარიბეს.

გეგმისა და მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც თანდათანობით კარგავდნენ მასტიმულირებელ ზემოქმედებას სამეურნეო მშენებლობის ტემპზე, მის მთელ მიმდინარეობაზე. იმისათვის, რომ გასაჭანი მივცეთ საწარმოო ძალებს, უნდა შეეცვალოთ სამეურნეო მექანიზმის მიმართულება, დავძლიოთ მისი ხარვეზი ხასიათი, მიზნად დავისახოთ ხარისხისა და ეფექტიანობის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერება.

მარქსიზმი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გადატრიალებას წარმოებითს ურთიერთობაში, რომელსაც კერძო საკუთრების მოსპობა იწვევს, მაგრამ ეს გადატრიალება ერთდროული აქტი როდია, რომელი შედეგადაც წარმოების ძირითადი საშუალებები საყოველთაოსახალხო კუთვნილებად იქცევიან. აბ უნდა გავიწყდებოდეს: საკუთრებისადმი დამოკიდებულება ვითარდება უწინარეს ყოვლისა რეალური პირობებიდან, რომლებშიც ადამიანი იმყოფება, მისი შესაძლებლობებით — გავლენა მოახდინოს წარმოების, შრომის, შედეგების განაწილების, გაცვლის, გამოყენების ორგანიზაციაზე.

XXVII ყრილობამ მიგვითითა, რომ საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს საზოგადოებრივი საკუთრების გამოყენებაში შრომითი კოლექტივების როლი. ნამდვილი სამეურნეო ანგარიში მოითხოვს, რომ საწარმოები და გაერთიანებები მთლიანად აგებდნენ პასუხს თავიანთი მუშაობის უბარალობისათვის. და ყოველი მშრომელის შემოსავალი დონე ეშუალად უნდა იყოს დამოკიდებული მის აირად წვლილზე და კოლექტივის კონკრეტულ წვლილზე ეროვნული დოვლათის ზრდაში.

სოციალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესების (დარგების, რეგიონების, კოლექტივებისა და ა. შ.) შეხამების პრობლემათა დამუშავება საყოველთაო-სახალხო ინტერესების უფრო პრიორიტეტის საფუძველზე. წარმოების საშუალებათა ერთპიროვნული მესაკუთრე — სოციალისტური საზოგადოება — ვერ დაუშვებს, რომ უწყვრიობა და კეთხურობა აბრკოლებდეს სოციალიზმის ეკონომიკური წყობილების უპირატესობათა რეალიზებას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება უკავშირდება შემოქმედების ძიებას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საქმეში. „აქ, — აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში, — არ უნდა გვაბრკოლებდეს დამკვიდრებული წარმოდგენები, მით უმეტეს ცრურწმენები. თუ, მაგალითად, საჭირო და გამართლებული რომელიმე სადირექტივო მაჩვენებლის ნაცვლად გამოიყენოთ ეკონომიკური ნორმატივები, ეს გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპის დარღვევას კი არ ნიშნავს, არამედ მისი მეთოდებისა და ხერხების შეცვლას. იგივე შეიძლება ითქვას გაერთიანებებისა და საწარმოების დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, მათი, როგორც სოციალისტური საკონტრმოწარმოებლების, როლის გაზრდაზე.

სამწუხაროდ, გავიცლება პოვა პოზიციამ, როცა სამეურნეო მექანიზმის ყოველგვარ შეცვლას ლამის სოციალიზმის პრინციპებისაგან გადახვევად მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მართვის, ისევე როგორც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემის, სრულყოფის უმაღლესი კრიტერიუმი უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარება, საქმით სოციალიზმის განმტკიცება“.

დიდმნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ყრილობის დასკვნებს, რომ სოციალისტურ წარმოებაში სულაც არ ამოიწურავენ თავიანთი პოტენციები საკუთრების კოოპერაციულ ფორმას, აგრეთვე სოციალისტურ საფუძველზე განვითარებულ სასაქონლო-ფულადს ურთიერთობას.

სკკპ XXVII ყრილობამ დამაჯერებლად ცხადყო: კომუნისტები მარქს-ენგელს-ლენინს ეკონომიკურ მოძღვრებას დოგმად კი არა, მოქმედების ცოცხალ სახელმძღვანელოდ მიიჩნევენ.

* * *

კომუნისტური მსოფლმხედველობის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ მის ცენტრში უცვლელად დგას ადამიანი, მისი ინტერესები და საზრუნავი. მარქსის ცხობილი აზრი: „...**როგორც** თვით საზოგადოება ქმნის **ადამიანს** როგორც **ადამიანს**, ისე იგიც **ქმნის** საზოგადოებას“ (თხზ., ტ., 42, გვ. 118) — სამართლიანია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის. მაგრამ სოციალიზმის პირობებში — და ამით იგი პრინციპულად გამოირჩევა ყველა წინამორბედი სოციალური სისტემისაგან — ადამიანები საზოგადოებრივ ურთიერთობას შეგნებულად ქმნიან. აი ამატომ არის, რომ ჩვენი საზოგადოების განმტკიცების, მის მიერ გადასაწყვეტ ამოცანათა გართულების კვალობაზე განუზომლად იზრდება ადამიანის ფაქტორის როლი. შემთხვევითი როდია, რომ ადამიანის პროფესიული და სულიერი განვითარების, სოციალური როლის გაძლიერების, მისი ზნეობრივი ზრდის პრობლემა სკკპ XXVII ყრილობამ ერთდროულად თვისებრივად ახალ მიჯნებზე სოციალისტური საზოგადოების გასვლის მიზნადაც და საშუალებადაც დასახა.

* * *

კომუნისტების საპროგრამო დებულებაა საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების მიღწევა. ეს კი გულისხმობს ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა პრობლემის, და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებასთან, სოციალური სფეროსადმი ყურადღების გაძლიერებასთან, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების თანამიდევრულ და საყოველთაოდ დამკვიდრებასთან განუყოფელ კავშირით.

სოციალიზმი სპობს სოციალური უსამართლობის მთავარ წყაროს — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უთანასწორობას წარმოების საშუალებათა მიმართ. ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრდა რეალური სახალხო ხელისუფლება და მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, ერების ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობა, პიროვნების პატივისცემა, შეიქმნა მისი ყოველმხრივი განვითარების პირობები, უზრუნველყოფილია ფართო სოციალური გარანტიები.

ამასთანავე სამართლიანობა მთლიანად არის დამკიდებული მატერიალურ შინაარსზე, რომელსაც იგი ავლენს. ეს შინაარსი სამართლიანია, ვინაიდან წარმოების წესს შეესაბამება, მისი ადეკვატურია (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. 25, ნაწ. 1, გვ. 373). სოციალისტური წარმოების წესს ახასიათებს პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მისი სრული განხორციელება პრაქტიკულად. სკკპ XXVII ყრილობამ კონკრეტული, მკაფიო პოლიტიკა შეიმუშავა განაწილებითი ურთიერთობის დარგში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომის რაოდენობასა და ხარისხზე ხელფასის მკაცრი დამოკიდებულება.

გამოცდილება ცხადყოფს: შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის დაცვისას უსათუოდ მატულობს შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად უმჯობესდება მისი შედეგები ყოველ კოლექტივში, ყოველ სამუშაო ადგილზე. მაშასადამე, სოციალური სამართლიანობის რეალიზაციაზე გადის. ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის გზა.

მარქსისტულ-ლენინური პარტიისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს კლასების, საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობის ანალიზს. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში წარმოჩენილია სოციალისტური საზოგადოების ერთიანობის კატეგორიის მნიშვნელობა და შინაარსი, ერთიანობისა, რომელიც მკვიდრდება პარტიის პოლიტიკაში კლასებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების ერთიანობისა და სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედია ბუდმეი ზრუნვა იმისათვის, რომ [illegible] ... კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირი მუშათა კლასის ავანგარდული ადგილის შენარჩუნების პირობით, რომელსაც წამყვანი მდგომარეობა უკავია სოციალისტური წარმოების სისტემაში, ფლობს დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას, იჩენს დიდ შეგნებულობას, ორგანიზებულობას, აქტიურობას.

სწორედ საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა შეიცავს აქტუალური ეკონომიკური და სოციალური ამოცანების დაჩქარებული გადაწყვეტისათვის ძალთა კონცენტრაციის შესაძლებლობებს. მაგრამ სოციალიზმი ოდნავადაც არ აკნინებს პიროვნების ინდივიდუალობას, თავისთავადობას. პირიქით, ჩვენი წყობილება უაღრესად არის დაინტერესებული ადამიანთა მთელი მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და უნარის განვითარებით, მოაზროვნეებისა და ტალანტების შეჯიბრების განვითარებით, ოომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი, შეუძლებელია წინსვლა.

ჩვენი საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების, სოციალისტური ცხოვრების წესის კოლექტივისტური საწყისების გაძლიერების კონტექსტით განიხილა ყრილობამ ეროვნული ურთიერთობის პრობლემებიც. ეროვნულ საკითხზე ვ. ი. ლენინის მოძღვრებაზე დაყრდნობით პარტიამ გააანალიზა საზოგადოებრივი ყოფიერების ამ სფეროსათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი. აქ მთავარია ვხედავდეთ მათ ახალ ასპექტებსა და წახნაგებს, ვეძებდეთ და დროულად ვცემდეთ სწორ პასუხს კითხვებზე, რომლებსაც თვითონ ცხოვრება აყენებს, განუხრელად ვიცავდეთ ლენინის ბრძნულ ანდერძს, შემოქმედებითად ვიყენებდეთ მას ახალ პირობებში, ვიყოთ უაღრესად ყურადღებანი, პრინციპული ეროვნულ ურთიერთობაში.

საზოგადოების განვითარების დაჩქარება, ადამიანის სოციალური როლის გაძლიერება წარმოუდგენელია სოციალისტური დემოკრატიის, მისი ყველა მხარისა და გამოვლინების შემდგომი სრულყოფის გარეშე. ცენტრალური კ

25 გაგარინელი გაზაფხული

კოსმონავტის ფრენა — ეს მხოლოდ მწერალია უდიდესი პირამიდისა, რომელიც მეცნიერთა, ინჟინერთა, მუშათა გენიითა და მკვალდაუღლელი შრომით არის შექმნილი. ასე თქვა იური გაგარინმა თავისი ვარსკვლავეთის რეისის წინ. კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა ხალხის ღირსშესანიშნავი გამარჯვების 25 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 17 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები და კონსტრუქტორები, კოსმონავტთა მომზადების ცენტრისა და ფრენის მართვის ხელმძღვანელები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კოსმონავტები, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

— კოსმოსის ათვისებაში ჩვენი მიღწევები მარტო საბჭოთა ხალხის კუთვნილებად კი არა, მთელი დედამიწის ხალხთა კუთვნილებადაც მიგვაჩნია, — თქვა კონფერენციის გახსნისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა კ. ვ. ფროლოვმა. — დღეს მივესალმებით საბჭოთა კოსმონავტებსა და მათ საზღვარგარეთელ კოლეგებს, რომლებმაც ღირსეულად ჩაიბარეს გაგარინის ესტაფეტა.

კოსმონავტები მამაცი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანები არიან. მაგრამ მარტო სამშობლოს როდი აბარებენ ისინი დღეს ანგარიშს მეცნიერებთან, ინჟინრებთან ერთად მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაწეული ძნელი მუშაობის შესახებ. მთელი პლანეტის თვალწინ, გაჰყავდა რა პირველი ბილიკები კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკისაკენ, ჩვენს ქვეყანას ამ დროის მანძილზე არასოდეს არ დაუმალავს საბჭოთა მეცნიერებისა და კოსმონავტების მიერ მოხდენილი აღმოჩენები, არ დამოკრძალებია სხვა ხალხებს ამ აღმოჩენათა შედეგად შეძენილი ძალის გამოყენებით. ისევე, როგორც დიდი სამამულო ომის წლებში ჯარისკაცურ ულუფას ვუზიარებდით ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მცხოვრებლებს, მთელი 25 მშვიდობიანი კოსმოსური წლის განმავლობაშიც მჭიდროდ, პარტნიორულად ვუწილადებდით მსოფლიო მეცნიერებას მთვარის გრუნტსა და ვენერას პანორამას, მთვარეზე ავტომატების დაჯდომისა და მთვარიდან აფრენის სქემებს, სამეცნიერო მონაცემებს ჰალეის კომეტასთან საბჭოთა სადგურების პირველი შეხვედრის შესახებ. არა სწრაფვა „კოსმოსური ომებისადმი“, არამედ მუშაობა „ვარსკვლავეთის მშვიდობისათვის“ — აი, რა იყო ყოველთვის საბჭოთა კოსმონავტიკის დევიზი.

მოხსენებები კონფერენციაზე სსრ კავშირში პილოტირებული ფრენის განვითარების, კოსმოსური მედიცინის მიღწევების, ორბიტულ სამეცნიერო სადგურებში გამოკვლევების პერსპექტივების შესახებ გააკეთეს აკადემიკოსებმა ბ. ვ. ოუშენბაევმა, ო. გ. გაზენკომ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა კ. პ. ფეოქტისტოვმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მეცნიერები, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

მეცნიერთა ფორუმი, რომელიც სამ დღეს გასტანს, დასაბამს აძლევს საიუბილეო საერთაშორისო და საკავშირო კონფერენციებს, კითხვებსა და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელოვანი გმირობის 25 წლისთავს ეძღვნება.

ეპოქალური დედამიწის საამაყო შვილს

„მან ყველა გაგვიხმო კოსმოსში“ — ასე ლაპარაკობენ მთელი მსოფლიოს კოსმონავტები იური გაგარინზე, პირველ დედამიწელზე, რომელმაც ვარსკვლავეთის გზა გაკვალა. 1961 წლის 12 აპრილს საბჭოთა მოქალაქემ ორბიტაზე გაიყვანა „ვოსტოკ“ ხომალდი და დასაბამი მისცა კოსმოსის მშვიდობიანი ათვისებისა და გამოყენების ხანას. ვარსკვლავეთის სივრცეების შემდგომი კვლევის, მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმისათვის ამ სტარტის მნიშვნელობა აღნიშნეს მეცნიერთა და კოსმონავტთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა, რომლებიც იური გაგარინის გაფრენის 25 წლისთავის აღსანიშნავად შეიკრიბნენ. მოსკოვის საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სსრ კავშირის მეცნიერები და კოსმონავტი მფრინავები, ერთობლივი ფრენის მონაწილე მათი საზღვარგარეთელი კოლეგები, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კოსმოსური პროგრამის უაღრესად მშვიდობიანი ხასიათი, მისი წვლილი საერთაშორისო მეცნიერების განვითარებაში.

— ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უბრწყინვალესი მიღწევაა. იგი გახდა მთელი კაცობრიობის პროგრესის სიმბოლო, — თქვა პოლონელმა კოსმონავტმა მ. გერმაშევსკიმ. — ჩვენს ყოველ სტარტს იმ 25 წლის წინანდელი გაზაფხულის დღის სიცხოველე ასაზრდოებს.

ყოველად შეუწყნარებელია კოსმოსის გამოყენება „ვარსკვლავეთის ომების“ ასპარეზად, ორბიტული გამოკვლევები მთელი კაცობრიობის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ — განაცხადეს შეხვედრაზე კოსმოსლეისს სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავებმა ვ. შატალოვმა, ა. ელისეევმა, ა. ლეონოვმა, ინდოელმა კოსმონავტმა რ. შარმამ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა ინიციატივებს ამ დარგში. ერთობლივი კვლევა გვიჩვენებს, თუ რისი მიღწევა შეიძლება თანამშრომლობის გზით. აიკრძალოს გამალებული შეიარაღება კოსმოსში, უარი ვთქვათ მის მილიტარიზაციაზე — ამას მოითხოვს პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი. (სპუტნიკი).

მეგობრობის ნიშნით

საბჭოთა აფხაზეთის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დაიწყო და 30 მარტამდე გაგრძელდება აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სოხუმიდან გამგზავრების წინ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის წარმომადგენლობითი დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს რ. ბუთბას მოკლედ მოეთხრო მკითხველისათვის ღონისძიებათა მიზანსა და პროგრამაზე.

— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის ასსრ დღეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ესესაა დამთავრდა სკკპ XXVII ყრილობა და საბჭოთა ხალხი არნახული ენთუზიაზმით შეუდგა პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას. ამასთან ჩვენი წარმომადგენლობა, არსებითად, პირველი ოფიციალური დელეგაციაა, რომელიც გდრ-ში ჩავა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის შემდეგ, რაც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს.

მომმე ქვეყნის ხალხი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა სახელმწიფოსადმი, საბჭოთა კავშირ-გდრ-ს მეგობრობის საზოგადოება თავის რიგებში 6 მილიონამდე კაცს ითვლის და ბევრი მათგანი კარგად იცნობს აფხაზეთს — გდრ-სთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება ხომ რეგულარულად აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს მოძმე ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმართათვის. გერმანელი სტუმრები აფხაზეთის საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივების ხშირი სტუმრები არიან, ესწრებიან ლექციებსა თუ კითხვა-პასუხის საღამოებს რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე. მშვიდობისა და მეგობრობის ამაღელვებელ მანიფესტაციად იქცა გდრ-ის ანტიფაშისტური მოძრაობის მონაწილეთა შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან სოხუმში, ტრადიციული გახდა მეგობრობის საღამოები კურორტ ბიჭვინთაში.

გდრ-ის ქალაქებში კონცერტებს გამართავს აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. ბერლინში (საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში) გაიხსნება ცნობილი აფხაზი მხატვრის, ა. ჩაჩბა-შერვაშიძის, თანამედროვე მხატვრების ხ. ავიძბას, თ. ამფარის, ს. გაბელიასა და სხვათა ქმნილებების, აგრეთვე ფოტოკორესპონდენტ ი. ჭოხონელიძის ნაბეჭდვართა გამოფენა; უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიასა და ნიკოლოზ ოუბას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

დღეების საზეიმო გახსნის შემდეგ ბერლინშივე გაიმართება პრესკონფერენცია, აფხაზეთის მეცნიერთა საუბრები ბერლინის გუმბოლტის უნივერსიტეტისა და ლაიფციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებთან, ჩვენი მწერლების შეხვედრები გერმანელ ლიტერატორებთან, აგრეთვე საუბრები გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებთან და შრომითს კოლექტივებთან.

აფხაზეთის ასსრ დღეები ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გდრ-ის ხალხთა მეგობრობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორი პასუხი ჩვენს რეპლიკაზე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და გამომცემლობა „განათლების“ პასუხი იმ ერთი რეპლიკის გამო, რომელიც გასული წლის 16 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ვინ თარგმნა ლეოპარდი?!“. კოლეგიიდან მოწერილი პასუხი, რომელსაც სათაურად აქვს „რეპლიკა ერთი რეპლიკის გამო“ მეტი რომ არა, ვთქვათ, ცხარე და კადნიერია! თანაც მას ოთხი კაცი აწერს ხელს, თუმცა ავტორიტეტულობისა და თავმდაბლობისათვის ერთიც კმაროდა, თუნდაც კოლეგიის მთავარი რედაქტორის ხელმოწერა.

არსებითი კი ის არის, რომ ამ რეპლიკა-პასუხში გარკვევით წერია: „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა იტალიური პოეზიის კლასიკოსის ჯაკომო ლეოპარდის ლექსები. ტექნიკური მიზეზების გამო წიგნში გაიპარა შეცდომა — თარგმანს არ აწერია მთარგმნელის გვარი, შეცდომა გასწორდა ტირაჟის ნაწილში, ტირაჟი კი საკმაოდ სოლიდურია — 50.000 ეგზემპლარი“.

რედაქციას ეჭვიც არ ეპარება, რომ კოლეგიას განვე არ დუმალავს 50.000 მკითხველისათვის მთარგმნელის გვარი „იტალიელი პოეტის ლექსები თარგმნა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა და დრამატურგმა თამაზ ბაძაღუამ. რა თავი უტკიოდა ამ მარტივი ინფორმაციის მოპოვებას?“ — „კითხულობთ არა ვინმე უჩინო, არამედ ოთხი პატივცემული პირის ხელმოწერით გამოგზავნილ გაჯავრებულ პასუხში. მკითხველთაც ხომ ეს აინტერესებდათ! ადამიანი რომ წიგნს ყიდულობს, იმავე წიგნში სურს იპოვოს აუცილებელი ინფორმაციაც. ცხადია, ეს „უნებლიე ტექნიკური წუნი“ უყურადღებობის შედეგია. აქ კი აღიარებენ კოლეგიის წევრები, რომ დიახაც „მეტი ყურადღება მართებს ყველას, ვინც წიგნს სცემს“. — დიახ, რეპლიკაც ამიტომ გამოქვეყნდა.

გამომცემლობა „განათლებიდან“ მიღებულ საქმიან პასუხში კი გვაცყობინებენ:

„ჯაკოფო ლეოპარდის ლექსების ქართული თარგმანი ერთობლივად გამოვეცით საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და ჩვენ — გამომცემლობა „განათლებამ“...

ორიოდე სიტყვა თვით ფაქტის შესახებ.

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია თავის მიერ მოთხოვნილი წიგნების მხატვრულ გაფორმებასაც თვითონ ახორციელებს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მთარგმნელის გვარი კოლეგიას მხატვრულად გაფორმებულ თავფურცელზე ჰქონდა გათვალისწინებული და ამიტომ გამომცემლობას იგი თავფურცლის უკანა გვერდზე აღარ აღუნიშნავს. ამრიგად, როცა ტექსტი ასაწყობად ქუთაისის № 5 სტამბაში გაიგზავნა, ტიტული უკანა გვერდზე (რომელიც ტექსტს მიჰყვება თან), მთარგმნელის გვარი შეგნებულად არ იყო მითითებული.

მხატვრული თავფურცელი კოლეგიამ ცოტა მოგვიანებით წარმოგვიდგინა და აქ ავტორისა და მთარგმნელის გვარები თითქმის ერთნაირად იყო წარწერილი. ჩვენ უხერხულად მივიჩნიეთ დიდი იტალიელი პოეტისა და მისი ქართველი მთარგმნელის ასეთი „გათანაბრება“ და გადავწყვიტეთ მთარგმნელის გვარი ისევ თავფურცლის მეორე გვერდზე გადაგვეტანა, რომელიც უკვე ქუთაისის სტამბაში იყო გაგზავნილი. სხვა რომ, ტექსტი და კლიშე დასაბეჭდად სტამბაში ცალ-ცალკე გაგზავნა და სტამბას ეცნობა მთარგმნელის გვარის კლიშედან თავფურცლის უკანა გვერდზე გადატანის შესახებ.

წიგნის გასავლელებად ხელმოწერისათვის ეგზემპლარები რომ მივიღეთ, შეცდომა მაშინვე შევნიშნეთ და სტამბას განმეორებით ეაცნობეთ მთარგმნელის გვარი თავფურცლის მეორე გვერდზე დაებეჭდა. სტამბამ შესაბამისი მოთხოვნა, მაგრამ ტირაჟის ნაწილში შეცდომა მაინც გაიპარა...

„კომუნისტის“ რეპლიკის შემდეგ გამომცემლობამ სარედაქციო საწარმოო თათბირზე გააანალიზა მომხდარი ფაქტი. მივედით დასკვნამდე, რომ მსგავსი შეცდომისაგან დაზღვეული ვიქნებოდით, თუ უმაკრესად დავიცავთ წიგნის გამოცემის სადებულებო წესებს გამომცემლობის ყველა რგოლში და მუშაობის ყველა ეტაპზე დედნის მიღებიდან წიგნის ტირაჟის ჩაბარებამდე, თუ მაქსიმალურად გავზრდიდით თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას გამომშვებიდან დირექტორამდე.

სახელდობრ:

1. კატეგორიულად აიკრძალა წარმოებაში დედნის ჩაშვება სალიუსტრაციო მასალისა და მხატვრული გაფორმების გარეშე (ადრე ზოგჯერ ასეთი გამონაკლისი ხდებოდა, როგორც ეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოხდა);

2. კატეგორიულად აიკრძალა სალიუსტრაციო მასალის და მხატვრული გაფორმების ჩაშვება წარმოებაში წმყვანი და მხატვრული რედაქტორის, რედაქციის გამგის, მთავარი რედაქციის კურატორის ვიზის გარეშე (ადრე ასეთ ვიზას მხოლოდ ლიტერატურული და მხატვრული რედაქტორები აძლევდნენ);

3. წიგნის უკლებლივ ყველა გამოსაშვები თუ ინფორმაციული ცნობის სიზუსტისათვის ქაცი პასუხისმგებლობა დაეკისრა მის გამოცემასთან დაკავშირებულ ყველა მუშაკს: რედაქტორს (ლიტერატურულს, მხატვრულს, ტექნიკურს), კორექტორს, გამომშვებს, რედაქციის გამგეს, საწარმოო განყოფილების გამგეს, მთავარი რედაქციის კურატორს (ადრე ამ მხრივ პასუხისმგებელი იყვნენ მხოლოდ ლიტერატურული და ტექნიკური რედაქტორები).

დასასრულ, არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ აღნიშნულმა ტრაგიკულმა დიდი სამსახური გაგვიწია ჩვენს მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, რასთვისაც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ“.

პასუხს ხელს აწერს გამომცემლობის დირექტორი **ლ. ხუნდაძე.**

სიკეთის რწმენით...

ამერიკელი დრამატურგის ტენესი უილიამსის პიესის „იგუანას დამის“ დადგმით რეჟისორი მედეა კუპუხიძე კვლავ წარდგა მაყურებლის წინაშე, როგორც ყურადღებიანი ანალიტიკოსი, ზნეობრივი პრობლემების მკვლევარი. გასულ კვირას თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურმა თეატრმა აჩვენა ამ სპექტაკლის პრემიერა.

— ნაწარმოები ღრმად აანალიზებს პიროვნების მთლიანობას ჩვენს რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე დროში, — თქვა დამდგმელმა რეჟისორმა, — მისი მთავარი გმირია კაცი, რომელშიც მწიფდება საზოგადოებისაგან გაუცხოება. მაგრამ, იგი არ მიდის კომპრომისზე, როცა საქმე ეხება პატიოსნებისა და მოვალეობის საკითხებს... გვინდოდა, რომ მაყურებელი კიდევ ერთხელ ჩაფიქრებოდა ამ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს.

სპექტაკლის საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ, მასში ისეთი შესანიშნავი მსახიობების მონაწილეობამ, როგორიც არიან ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, ნანა ჩიქვინიძე, მხატვარ შ. გლურჯიძის სცენოგრაფიამ — ყოველივე ამან უზრუველყო მარჯანიშვილელთა ახალი ნამუშევრის წარმატება.

... აი უკვე მესამე ათეული წელია ხელოვნების ემსახურება მედეა კუპუხიძე. სოხუმის სცენაზე დადგმული პირველი სპექტაკლებიდანვე იგი გულმოდგინედ და განუხრელად ამტკიცებს თავისეულ ხელოვნების გაგებას, თავის სარეჟისორო სკოლას. დღეს რეჟისორის ნამსახურობის „ნუსხაშია“ ათობით დადგმა, რომლებიც გამოირჩევიან ღრმა სოციალური განზოგადების, სცენური ექსპერიმენტისადმი სწრაფვით. ა. ჰაკეტისა და ბ. გუდაიჩის „ანა ფრანკის დღიურში“, უილიამსის „ბინის სამხეცეში“, ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნებაში“, ლ. თაბუკაშვილის „ძველ ვალსში“, ლ. როსების „პრეზიერასა“ და „პროვინციულ ამბავში“, ნ. ლორთქიფანიძის „უამთა სიავეში“, და ბოლოს, იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის მონაქაშონ ჩიკამაცუს პოემის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციცერ ბადეთა კუნძულზე“, — უწინარეს ყოვლისა ამ დადგმებში აფორიზმის დონემდეა კონცენტრირებული აზრი...

გარეგნულად დინჯი და თავშეკავებული ადამიანი, მედეა კუპუხიძე, ალბათ, შინაგანად ერთ-ერთი ყველაზე მოუსვენარი ხელოვანია.

— ეს თვისება ძირითადია რეჟისორისთვის, — მიიჩნია მან. მსახიობი, რეჟისორი თეატრში უნდა ცხოვრობდნენ სასწაულის მოლოდინით. თავის ამ კრედოს იგი ხორცს ასხამს ყველა თავისი დადგმით. და, ალბათ, შეიძლება ამიტომ თითოეული მისი დადგმა მოულოდნელია მაყურებლისათვის.

„რეჟისორი მსახიობში კვდება“. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ეს სიტყვები დიდი ხანია ჭეშმარიტებად იქცა ისევე, როგორც, სამწუხაროდ, ის, რომ თვით ნიჭიერ მსახიობსაც ყოველთვის როდი აქვს ბედნიერება შეხვდეს რეჟისორს, რომელიც მზად არის გადადგას ასეთი ნაბიჯი. მედეა კუპუხიძე სწორედ ასეთ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნება. აი რას ამბობს მასზე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ მეღვინეთუხუცესი:

— მედეასთან პირველივე შეხვედრამ სპექტაკლში „პროვინციული ამბავი“, უდიდესი შემოქმედებითი სიხარული მომანიჭა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვით როლი საოცრად საინტერესო, ჩემთვის უჩვეულო იყო. სცენაზე ურთიერთობის პირველივე წამებიდან რეჟისორი ხდება მსახიობის მეგობარი — გულისხმიერი და ყურადღებიანი მეგობარი, რომელთან მუშაობა ადვილი, საინტერესო და სასიხარულოა...

კიდევ ერთი რამ, და ალბათ, ყველაზე მთავარი: იგი ოპტიმისტია. მისი სიდადაფები საოცრად ნათელი, ჰუმანური, კეთილი...

როგორღაც ერთ-ერთ ინტერვიუში მ. კუპუხიძემ თავისი პოზიცია ასე ახსნა: მე ყოველთვის მხარს ვუჭერ კეთილსა და ლამაზს ხელოვნებაშიც, ცხოვრებაშიც, ყოველთვის სიკეთისა მჯერა...

ს. ჩიაძვა,
(საქინფორმის კორ.).

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდისათვის, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ამ ბოლო ხანს ბევრი რამ კეთდება. ახლა ასეთ პროდუქციას სასოფლო-სამეურნეო რაიონებიც უშვებენ. მათ შორის გახლავთ ვანის რაიონიც, რომლის ერთ-ერთ საწარმოში დამზადებული აუურული ჭაღები და ბრები, მოხერხებული მაგიდის ელექტროლამპები მოსწონთ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სურათზე: შესანიშნავად შრომობს თავის უბანზე მოწინავე ამწყობი მანანა სულაბერიძე.

ა. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გავლონიერდეთ, გავჯანსაღდეთ, გავმაგრდეთ!

პრობლემა მწვავეა, საქმე ერთიანი მეცადინეობით უნდა ეჭიროს

ამასწინათ გაზეთმა „ლელომ“ რუბრიკით „სადღეისო პრობლემა“ დაბეჭდა საინტერესო და საჭირო წერილი „ინერტულობა“, რომელიც ეხება საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურელთათვის სპორტულ ნაგებობათა აგების საკითხებს.

„კომუნისტის“ რედაქციას განზრახული აქვს კონტროლი დაუწესოს რესპუბლიკური სპორტული გაზეთის მიერ წამოჭრილ პრობლემას. „კომუნისტის“ სპორტის სექტორის გამგე ჯ. ენუქიძე შეხვდა საქართველოს სანაფიო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს ამხ. ნ. ნეფედოვს.

— გაზეთ „ლელოს“ სარედაქციო სტატიაში მწყავედ არის დასმული საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის საკითხი, — თქვა მინისტრმა.

ჩვენც კარგად გვესმის, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების შექმნა მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლის ყველაზე მისაღები და ეფექტიანი ფორმაა. მოკავშირე რესპუბლიკებში კომბინატები შეიქმნა კაპიტალურ დაბანდებათა თანხებით, რომლებსაც იქ მათი მინისტრთა საბჭოები, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები და საქალაქო აღმასკომები გამოყოფენ. სამწუხაროდ, ჩვენი სამინისტროს მეცადინეობას, საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ხარჯზე ვაშენოთ ასეთი კომბინატები, ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. ასეთი კომბინატების მშენებლობა კი იმისდა მიხედვით, თუ როგორია გამტარუნარიანობა, ჯდება 300 ათასიდან მილიონ მანეთამდე. მოვიყვან მაგალითს, რომელზეც საოქაქაცო სტატიაშიც არის საუბარი და რომელიც გლდანის რაიონში კულტურის სახლის რეკონსტრუქციას და იქ ჯანმრთელობის კომბინატის მოწყობას ეხება. საკითხის არსში უფრო ზუსტად რომ გავერკვეთ, გავაცნობთ საქმის ვითარებას. ამ კულტურის სახლის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის ტექნიკური დოკუმენტაციით მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 740 მანეთს. ობიექტის მშენებლობაზე უკვე დაიხარჯა 200 ათასი მანეთი, ამის შემდეგ კი მუშაობა შეწყდა თანხების უქონლობის გამო. ამასთანავე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, გადაეცეს თუ არა კულტურის სახლი თბილისის საქალაქო აღმასკომის ბალანსიდან საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბალანსზე. უახლოეს დროში ამ საკითხის მოგვარებას ვაპირებთ.

— ერთი რამ ცხადზე უცხადესია: დღემდე რესპუბლიკაში არც ერთი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატი არ შექმნილა...

— სამწუხაროდ, ასეა. ვერც ჩვენ და ვერც სხვა ორგანიზაციებმა ჯერჯერობით თავი ვერ გავართვეთ ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეს. ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ საამისო კაპიტალდაბანდებათა ლიმიტები არა გვაქვს. თავიდათავი ეს გახლავთ. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამ მხრივ დაეინებული მეცადინეობა გვმართებს.

— და მაინც, რას აპირებთ, როგორ გესახებათ ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის გზები?

— ჩვენი სამინისტროს კოლეგიის უახლოეს სხდომაზე მივიღებთ მამობილიზებელ დადგენილებას: განზრახული გვაქვს კაპიტალური რემონტის სახსრებით მოვაწყოთ ახალი და წესრიგში მოვიყვანოთ არსებული სპორტული მოედნები. ამ მიზნით შედგენილი იქნება სპეციალური გრაფიკი რეგიონების მიხედვით. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე აღვძრავთ საკითხს, რომ რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების საერთო მოცულობის ფარგლებში მომდინარე წელს გამოგვიყოს 500-600 ათასი მანეთი გლდანის რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატის მშენებლობის დასამთავრებლად. გარდა ამისა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შევიტანთ წინადადებას, რომ მიიღოს დადგენილება მეთორმეტე ხუთწლედში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების შენებლობის თაობაზე: თბილისში აშენდეს ოთხი კომბინატი, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ოჩამჩირეში — ორ-ორი, ცხინვალში, გორში, თელავში, ზუგდიდში, მახარაძესა და ფოთში — თითო კომბინატი. თუკი ყოველივე ეს დადებითად და ოპერატიულად გადაწყდება, საპროექტო ორგანიზაციები წელსვე შეუდგებიან ამ მიმართულებით მუშაობას, გაისად კი უკვე უშუალოდ მშენებლობაც დაიწყებოდა. გარდა ამისა, გათვალისწინებული გვაქვს წლიულს სექტემბერ-ოქტომბერში მოვაწყოთ მეთოდიკურ-თეორიული „კონფერენცია მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითად მიმართულებათა შემუშავების საკითხზე. ეს კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება — მოვიწვევთ როგორც ჩვენი სისტემის, ისე სპორტკომიტეტის, განათლების ორგანოების და კიდევ ბევრი სხვა ორგანიზაციის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

კოლეგიაზე გვექნება საუბარი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით სამინისტროს სისტემის საბინაო-კომუნალური საწარმოების მიერ საქარხნო რაიონში, აგრეთვე პირველი მაისის, ორჯონიკიძის რაიონებში და რესპუბლიკის ქალაქებში — სოხუმში, ქუთაისში, რუსთავში მოწყობილი მარტივი სპორტული მოედნები ზღვარი არ არის და მათი რაოდენობა მკვეთრად უნდა გაიზარდოს რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. დავაკონკრეტებთ სად რა უნდა აიგოს. მართალია ისიც, რომ ჩვენს სამინისტროში შექმნილ განყოფილებას, რომელიც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაორგანიზებელი ბირთვი უნდა იყოს, ამჟამად ხელმძღვანელი არა ჰყავს იმის გამო, რომ ამ განყოფილების გამგე საქართველოს სპორტკომიტეტმა ორიოდე თვის წინათ სხვა სამუშაოზე დაიწინაურა. საზრუნავი გაგვიჩდა სათანადო სპეციალისტის შერჩევაც და ამ განყოფილების ნაყოფიერი მუშაობისათვის შესაფერი პირობების შექმნაც. ბუნებრივია, კოლეგიაზე ამ საკითხზეც გვექნება მსჯელობა.

— დასაწყისისათვის არცთუ ურიგო გეგმებია და არცთუ უმნიშვნელო თანხები.

— მარტო სამინისტრო მაინც ვერ შეძლებს პრობლემის გადაჭრას. აქ ბევრი ორგანიზაციისა და უწყების ძალებისა და მეცადინეობის ერთიანობა დაგჭირდება. ამ თვალსაზრისით საერკომი წერილის კრიტიკული მისამართები, ასევე ზოგიერთი ფაქტი მოლად ზუსტი არ იყო. მაგრამ მთავარი საქმეა და მისთვის ყველამ უნდა ვიღვაწოთ.

ყაბალი

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობის მეექვსე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უბილავა-გიორგაძის პარტიას. უბილავამ მოიგო პაიკი, მაგრამ შავებმა მეტად აქტიურად გაწალაგეს ძალები. ლიდერმა თანდათან გაამარტივა მდგომარეობა და გადადებულ პოზიციაში უკვე ორი ზედმეტი პაიკი აქვს. თორიას მოსაგები პოზიცია ჰქონდა კრასენკოვთან, მაგრამ დასკვნითს ნაწილში შეცდა და მოულოდნელად წაგო. ჭიპაშვილმა კარგად წარმართა შეხვედრა ეფიმოვთან, დიდი მატერიალური უპირატესობაც დარჩა და გაიმარჯვა. ბაღათურიშვილმა მოუგო სუპატაშვილს, ჩაჩიბაიამ — ბოკუჩავას. ნანა იოსელიანი ენდაშვილში ზედმეტი პაიკი ჰქონდა ჩიქოვანთან, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა და ყაიმს დასჯერდა, ჯანჯღავა-ტყებუჩაიას პარტია კი გადადო.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით გამარჯვებას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ოსტატი გია ბაღათუროვი, რომელმაც ზედიზედ მოიგო ბოლო სამი პარტია. საერთაშორისო ოსტატ ელიზბარ უბილავას 4 ქულა და ერთი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს.

სატურნირო ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. ევროპის მსოფლიო ჩემპიონატზე ვალენტინა უკვე დაამთავრეს სავალდებულო პროგრამით ასპარეზობა. მეჯიბრების ამ თანრიგში ძალიან ოქროს მედალს დაეუფლა საბჭოთა სპორტსმენი ა. ფადეევი, მეორე ადგილზე გამოვიდა ი. საბოჩიკი (ჩეხოსლოვაკია), მესამეზე — ჰ. ფიშერი (გფრ). წყვილთა ციგურაობაში (მოკლე პროგრამის შემდეგ) დაწინაურდნენ მოსკოველები ე. გორდეევა და ს. გრინკოვი. მეორე-მესამე არიან ლენინგრადელები ე. ვალოვა-ო. ვასილიევი და ლ. სელეზნიოვა-ო. მაკაროვი.

მძლეოსნობა. ოკლაჰ